645
1969/9

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი



სექტემბერი
№ 9 1969 წ



მეექვსე კლასის მოსწავლე
ნინო ბელტიხინა



მეათე კლასის მოსწავლე
მარინე ნიჟარაძე



მეათე კლასის მოსწავლე
ნონა ქომეთიანი

# სწავლა დაიწყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის

10.933




თხრობა ლენინზე.

სწავლა დაიწყო. კვლავ შეუდგნენ მუშაობას მოსწავლეთა საგნობრივი წრეები. თბილისის 57-ე საშუალო სკოლის მოსწავლეები ხალისით მეცადინეობენ რუსული ენისა და ლიტერატურის წრეში. წრეს ხელმძღვანელობს პედაგოგი ქეთევან ულენტი. ფართო და მრავალფეროვანია წრის სამუშაო თემატიკა. მოსწავლეები ღრმად და საფუძვლიანად ეცნობიან რუსული მწერლობის კლასიკოსთა ნაწარმოებებს. მაგრამ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ისინი დიდი ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ მასალებს. ამ თემაზე წრის წევრებმა ლიტერატურული დილა ჩაატარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აბასთუმნის სადაბო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მერი ჩერქეზიშვილი

# ადი-გენის რაი-ონში

## ზარზმის გადასახედზე

ზარზმიდან ხელისგულივით მოჩანს ადიგენი. ოქროს ციხეზე ახვალთ და უფრო შორს იჭრება თვალი — თქვენ ხედავთ მთელ მესხეთს.

მესხეთში იშვიათია სოფელი, სადაც ციხე-დარბაზი არ იყოს ქვის მაღალი გალავნით შემოვლებული. მრავალ ბრძოლათა მოწამენი არიან ეს ციხე-დარბაზები. მტრები ზედიზედ ესხმოდნენ თავს მესხეთის სოფლებს, აკვანში ჰკლავდნენ ძუძუთა ბავშვებს, შავით იმოსებოდნენ ცოცხლად დარჩენილი დედები.

მესხეთში გოდება და ტირილი იყო.

ვერ გადააშენეს მესხეთი მაინც!

დღეს მესხეთის მიწაზე შრომა გუგუნებს, შრომა გუგუნებს ბარში და მთაში. ხნავს გუთნეული და ტრაქტორები, შრიალებენ ბაღ-ვენახები. ყველგან შრომის სიმღერაა. შრომობენ მკლავმოუღლელი მესხი ვაჟკაცები, მათ გვერდით შარიშურობს მესხი ქალის მანდილი:

შუქი ამშვენებს ქვეყანას,
მაგ თქვენი თვალ-წარბისაო...

ადიგენელებმა შარშან სახელმწიფოს მიჰყიდეს 6.685 ცენტნერი ხორცი, 25.819 ცენტნერი რძე, 18.800 ცალი კვერცხი, 14.020 ცენტნერი კარტოფილი, 13.980 ცენტნერი ბოსტნეული, 13.840 ცენტნერი ხილი. უკეთეს მოსავალს გვპირდებიან ისინი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისა და ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით. ერთმანეთს უსწრებენ უდელები, ჩორჩანელები, პატარა სმადელები, ბოლაჯაურელები, მოხისელები. შრომამ დაამშვენა და გაალამაზა აქაური დაბა-სოფლები.

ადიგენელ მშობლებს ემსახურება საბავშვო ბაღები და ბაგები, 45 სკოლა, 361 მასწავლებელი, კულტურის სახლი, მუსიკალური სკოლა.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე დგას რაიონის 3 საავადმყოფო, 4 საექიმო უბანი, 13 საფერშლო-საბებიო პუნქტი, რესპუბლიკური ტუბსაავადმყოფო, 7 სანატორიუმი, 1 ბავშვთა სკოლა-სანატორიუმი, სადაც მუშაობს 108 ექიმი და 750 საშუალო მედპერსონალი.

ვისთვის არ არის ცნობილი აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია, სადაც მოღვაწეობს ერთი აკადემიკოსი, ორი დოქტორი, ორმოცდაათამდე მეცნიერ-მუშაკი და ასპირანტი.

მოივლით მესხეთის ამ მშვენიერ კუთხეს და აღტაცებული იტყვით: რა ხვავრიელი თვეა ჩვენი მკათათვე!

რა ხილ-ყურძენი დამწიფდება მწიფობის თვეში!

აგერ, მთაზე შეფენილი ცხვარ-ბატკანი!

განთიადი ციმციმებს ირგვლივ!

შენ გაგიმარჯოს, გამარჯვების დილის რიჟრაჟო.

შენ გაგიმარჯოს, მესხო, ძლიერო!

## სოფლის შუქურა

უდე! ამ სოფელში ცხოვრობს ერთი ქალი, სამი შვილის დედა. ახალგაზრდობიდანვე



დაბა ადიგენის ცენტრი

კოლმეურნეობაში მუშაობს, ფურებს უვლის. თითქოს აქ საძნელო არაფერია, ფური ყველას ჰყავს სოფელში, მაგრამ თამარს ერთის მაგივრად თორმეტი აბარია. მისი ყოველდღიური საზრუნავი ის არის, რომ არაფერი მოაკლდეთ მათ. დღეს რომ ნაკლებს მოიწველის ფური, ეს კოლმეურნეობას აკლდება, ამიტომ ცდილობს მეტი რძე მიიღოს. პირუტყვს ხან თივას აჭმევს, ხან სილოსს, ხან კონცენტრულ საკვებს. შუადღისას ფერმაში რომ საქმეს მორჩება, მისი შვილები იზო, ალექსი და პეტრე სკოლიდან ბრუნდებიან. ტომრებითა და ორთითებით მიეშურება ბოჩიკაშვილების ოჯახი კოლმეურნეობის მახლობელი ყანებისაკენ და აი დაუღალავი შრომის შედეგიც: 1964 წელს თამარ ბოჩიკაშვილმა თითოეულ ფურზე გეგმით გათვალისწინებული 1.200 კილოგრამის ნაცვლად 1.531 კილოგრამი რძე მიიღო, 1965 წელს — 1.535 კილოგრამი, ხოლო შარშან — 1.705 კილოგრამი.

მოწინავე მწველავს არ ჰყავს არც ერთი ბერწი ფური, კარგი მოვლა-პატრონობით შესძლო მთლიანად შეენარჩუნებინა ნამატი.

როგორ აღწევს ასეთ შედეგებს?

რა აქვს თამარს დასამალი! ფერმაში გათენებამდე მიდის, ასუფთავებს სადგომებს, წველის ფურებს, აძლევს საკვებს — ჯერ თივას, მერე კომბინირებულ საკვებს, ასევე შუადღისას, ნედლ საკვებსაც არ ივიწყებს, მახლობელი ყანებიდან თვითონ ზიდავს ლორთქო ბალახს.

თამარზე ალაპარაკდა მთელი რაიონი. თანასოფლელებმა ღირსეულად შეაფასეს მისი შრომა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

...ჩვენ ვნახეთ ეს მესხი ქალი ხალხით სავსე დარბაზში. იდგა თავაწეული, ამაყი და ბედნიერი.

— შრომა დამიფასეთ? — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ამბობდა ის, — არც მე დაგრჩებით ვალში. არ შეგარცხვენთ, მეზობლებო, მეგობრებო. წელს თვითეულ ფურზე 2000 კილოგრამ რძეს მივიღებ. ქმარი ხომ წავიყვანე მთაში მწყემსად, ახლა შვილებსაც ავიყოლიებ, გვერდით ამოვიყენებ... — მეტის თქმა ვერ მოახერხა, სიხარულის ცრემლმა აჯობა.

## მრავალთა შორის

გადაიქუხა ომმა. დაუბრუნდნენ ვაჟკაცები სოფელს. ვერა მეტრეველმა შავი ბარათი მიიღო. ქალი ძაძებით შეიმოსა, შვილებს უმამობა არ აგრძნობინა. სერგოს ქვრივს სოფელი გვერდით ამოუდგა.

— სამუშაოდ მიდიხარ? წადი, ნუ გეშინია, ბავშვებს ჩვენ მივხედავთ.

— დასაფქვავი გაქვს? სიმინდს ჩვენ წავიღებთ წისქვილში.

— შეშაზე ნუ იფიქრებ, ჩამოგიტანთ მთიდან.

—ავად გყავს ბიჭი? რამ შეგაშინა, შე ქალო, — და მაშინვე აფრენდნენ კაცს ექიმთან. სოფლის ყურადღება ძალას მატებდა ქალს.

ფოტოები დ. იაკობაშვილის და აკ. ფარულავასი.



ზარზმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ბევრს შრომობდნენ ზეკარელები, მაგრამ მაინც ღარიბები იყვნენ. მწირი ნიადაგი მცირე მოსავალს იძლეოდა. 1944 წელს მთავრობის რჩევით ზეკარელები მესხეთში გადმოსახლდნენ და სოფელ ვარხანში დამკვიდრდნენ. ეძნელებოდა ვერას პატარა ბავშვებით მამა-პაპური კედელ-ყურის მიტოვება, ქმრისეული კერიის მიტოვება, მაგრამ მეზობლებს არ ჩამორჩა და ისიც მათთან ერთად მესხეთში გადმოსახლდა.

რა დახვდათ ახლადჩამოსახლებულებს? — მიწურები, ოღრო-ჩოღრო გზები. სასმელი წყალიც კი არ ჰქონდათ, მაგრამ რაც მთავარია, მიწა დახვდათ ნაყოფიერი, წიაღიანი. სხვა რა უნდა გამრჯე, შრომისმოყვარე გლეხს! ახალ მიწაზე ახალი ცხოვრება აჩქეფდა. აწკრიალდნენ ბარები, თოხები, აგუგუნდნენ ტრაქტორები, გაივლო ხნულები, გაღვივდა თესლი, გაშენდა ბაღი, ბოსტანი, ვენახი, სოფელი ხარაჩოებში ჩაჯდა, აგიზგიზდნენ ბუხრები, იმატა ოჯახებში სიხარულმა და დოვლათმა. ვერა მეტრეველიც არ ჩამორჩა სოფლის მაჯისცემას, თავისი შვილებით აქტიურად ჩაება ახალი სოფლის ცხოვრებაში.

დედას გვერდიდან არ ცილდებოდა წამოჩიტული ეთერი, გაკვეთილებს მორჩებოდა და მინდორში გარბოდა, წიგნთან ერთად მისი განუყრელი მეგობრები იყო ბარი და თოხი, საშუალო დაამთავრა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მოეწყო დაუსწრებლად. სტუდენტობის წლებში ერთი წუთითაც არ უღალატნია მიწისათვის. ვაკაკაცებმა იგი ბრიგადირად დაასახელეს. დღეს ეთერ მეტრეველი ადიგენის საბჭოთა მეურნეობის მეხილეობის აგროგანყოფილების უფროსია. შარშან მისმა აგროგანყოფილებამ 15 ჰექტარი ბაღის თითოეულ ჰექტარზე 60-70 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ვაშლი მოკრიფა. აგრონომ ქალს გვერდს უმშვენებენ გოგონა ლიპარიშვილი, ქეთინო გორგოძე, ჯანიკო დემეტრაძე, ცაბურა წაქაძე, ნაზი გიორგაძე, ცაბურა გიორგაძე და სხვები. მათ შორის გამოირჩევა გოგონა ნატრიაშვილი. მან და ეთერმა ერთად გაატარეს ბავშვობა, ერთად დარბოდნენ იმერეთის ლამაზ მთებში, მეგობრებმა ერთად დატოვეს ზეკარში სიყმაწვილის წლები. გოგონას მამა ადრე გარდაეცვალა, დედა გაუთხოვდა, დარჩნენ უპატრონოდ ოთხი დაძმა, სოფელმა გაუწია მათ მშობლიური მზრუნველობა.

თუ ადამიანი შრომისმოყვარეა, თუ ის პატიოსნად მიყვება ცხოვრების გზას, სოფელი არ გარიყავს, გვერდში ამოუდგება, ხელს გაუმართავს, სწორ გზაზე დააყენებს. დაიზარდნენ და დაოჯახდნენ გოგონას დაძმანი: უჩა, კუკური, ელიკო. შრომისმოყვარე გოგონა ნატრიაშვილი ბედნიერად ცხოვრობს, მეუღლე გვერდით უდგას, შვილები: მერაბი, მარინე, ირინე და მერი სოფლის სიამაყენი არიან.

მეხილე ქალმა შარშან გაპიროვნებულ 0,25 ბაღიდან 12,5 ცენტნერის ნაცვლად 28,75 ცენტნერი ვაშლი მიიღო. ჰექტარზე გაანგარიშებით — 115 ცენტნერი. წელს კი 80 ცენტნერ მაღალხარისხოვან ვაშლს გვპირდება.

## გზა სიკეთისა

კარგი პედაგოგი ხასიათების პირველი მჭედელია, იგი მზრუნველ მებაღესავით ახარებს ნერგისაგან ლამაზ ყვავილებს, გამრუდებულ ყლორტებს სწორ მიმართულებას აძლევს.

მავრა გამეზარდაშვილი, ლელოვანის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელია. იგი მაგიდასთან დახრილა და ღიმნარევი თვალებით კითხულობს ბარათს: „ჩემო ძვირფასო მასწავლებელო! თქვენ შემაყვარეთ ჩემი სამშობლოს ცისა და მიწის სილამაზე, ჩემი სოფლის შუქელვარე დილა და მზით სავსე თავთავები, შეთქვირული ყანები და აფეთქებული ატმები, ცამდე აწვდილი ცაცხვები და გაბარჯგული კაკლები, რქაგალაღებული ვაზი და ჩალის სუნი, ბაღებში დაყრილი ვაშლის გორა და მისი საამო სურნელი.

გახსოვთ, გაზაფხულზე ურემს ფერად-ფერადი ყვავილებით რომ მოვრთავდით, თქვენი კარის წინ ჩავატარებდით და ყვავილებს მოგიძღვნიდით? უჰ, რამდენი ყვავილი იცის ჩვენს მინდვრებში: ყაყაჩო, გვირილა, სოსანი, ღიღილო... მათი სილამაზე ყოველთვის თან დამდევს. ჩემი სოფელი, ჩემი სიამაყე! —ვფიქრობ გულში და ამაყად მიჭირავს ჯარისკაცის თოფი, ფხიზლად ვდარაჯობ ჩემი სამშობლოს მიწას. ეს თქვენ, მასწავლეთ ჩემო მასწავლებელო, შრომისა და მიწის სიყვარული, ადამიანის სიყვარული...

აჩიკო".

ამ ბარათმა გაახსენა მავრას:

გაზაფხული იყო. მოდიოდა შხაპუნა, რომელიც სიცოცხლეს აძლევს ყანებს და დედამიწიდან ტკბილ შარბათად იღვრება ყურძნის მტევნებში. აღარ ისმოდა ჭრიჭინების სიმღერა, ხეებში ინაბებოდნენ ჩიტები, მთიდან ხეობებში ეშვებოდნენ მთის არწივები, კრთოდა შორეული ელვა. წვიმის წვეთები ცეკვავდნენ მინდორზე, სიამოვნებისაგან თრთოდნენ ხეები. აჩიკო და მისი პატარა და ბეღურებივით შეყუჟულიყვნენ ხებქვეშ და ყღურტულებდნენ.

— აჩიკო, მომიწყვიტე ის ლურჯი ყვავილი!

— რომელი? — ბიჭი დაიხარა, წასწვდა ლურჯთვალა ყვავილს, მაგრამ ფეხი მოუცდა და წყალში გადაეშვა...

— მიშველეთ! — იყვირა გოგონამ. მავრა მასწავლებელი სკოლიდან ბრუნდებოდა. არც დაფიქრებულა, ტანსაცმლით გადაეშვა ადიდებულ მდინარეში და გონდაკარგული ბიჭი ნაპირზე გამოიყვანა...

ერთი წლის შემდეგ ბავშვებს დედა გარდაეცვალათ. იმ დღიდან აჩიკო და მზია მავრა მასწავლებლის შვილობილები გახდნენ.

აი მეორე გაცრეცილი ბარათი.

„მავრა მასწავლებელო, ინსტიტუტელ ამხანაგებთან ერთად ყამირ მიწებზე ვიმყოფები. მე აქ გავიცანი ერთი გოგონა, მინდა მასზე გიამბოთ. მან სილამაზით არ მიიქცია ჩემი ყურადღება, გამჭრიახი და შრომისმოყვარეა, როცა მის მსჯელობას ვუსმენ, როცა მის მუშაობას ვუყურებ, უნებურად ვცდილობ მას დავემსგავსო, მინდა ვიყო ისეთი, როგორიც ის არის: ძლიერი, მარჯვე, გონებაგახსნილი, შრომისმოყვარე და პატიოსანი. მე ის შემიყვარდა და ამ სიყვარულმა სწორი გზა მაპოვნინა ცხოვრებაში. მახსენდება თქვენი სიტყვები: — რა კარგია იცხოვრო ქვეყანაზე, იშრომო ხალხისათვის, სამშობლოსათვის, სარგებლობა მოუტანო მათ.

გივი".

...მავრა მასწავლებლის ოთახში ცოლ-ქმარი მტრულად უყურებს ერთმანეთს, ვერ მორიგებულან, ვის დარჩეს ბავშვი.

— მისმინეთ! — დინჯად ამბობს მასწავლებელი და არაკს ყვება: — ორმა ქალმა ბრძენს ბავშვი მიუყვანა, თითოეული ამტკიცებდა მე ვარო ბავშვის დედა. არც ერთს არ უნდოდა ბავშვის დათმობა. „გაგლიჯეთ შუაში!" — უთხრა მათ ბრძენმა. „კარგი, მე თანახმა ვარ", — მშვიდად უპასუხა პირველმა ქალმა. „არაფრის გულისათვის", — შესძახა მეორემ. ბრძენმა ამ უკანასკნელს მიაკუთვნა ბავშვი, რადგანაც იგი იყო ნამდვილი დედა.

როდესაც ადამიანს შვილი ჰყავს, მას არა აქვს უფლება მოიქცეს ისე, როგორც მას მოესურვება, თვითნებურად დაამსხვრიოს თავისი შვილების მომავალი.

მავრამ ექვსი წლის ბიჭი ოთახში შემოიყვანა.

მწველავი თამარ ბოჩიკაშვილი



— რომელი გინდა? — ეკითხება ბავშვს.

— ორივე, — ტირილით პასუხობს ბიჭი.

დარცხვენილმა მშობლებმა შეხედეს ერთმანეთს. მერე ბავშვს აქეთ-იქიდან ხელი ჩაჰკიდეს და შინისაკენ გასწიეს...

ბევრი, ძალიან ბევრი სიკეთე უთესია მაერა გამეზარდაშვილს. რამდენმა ბავშვმა გაიარა მის ხელში, რამდენი სახელოვანი შვილი აღუზარდა სამშობლოს, რამდენი სახელოვანი დედა!

— ყველაზე დიდ მორალურ კმაყოფილებას, — გვითხრა ღვაწლმოსილმა პედაგოგმა, — მაშინ განვიცდი, როცა სუსტს ვეხმარები, ბოროტს ვსჯი. ყოველთვის, როცა სიმართლეს ვიცავ, ძალა მემატება. ყველას შეუძლია თვითონ აღზარდოს თავისი თავი სწავლაში, შრომაში, ამხანაგების ერთსულოვან კოლექტივში. პატიოსანი შრომა — აი ბედნიერების წინაპირობა. ცხოვრებისეულ მაგალითებზე დაკვირვებით იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ადამიანები, რომლებსაც უყვართ წიგნი, რომლებიც კარგად, ლამაზად ცხოვრობენ და შრომობენ, ბედნიერნი არიან.

## სიცოცხლე იმარჯვებს

აბასთუმანში ახალგაზრდა ქალიშვილი მიიყვანეს. მძიმედ იყო ავად. ქალიშვილი ტიროდა და არავის იკარებდა, მორჩენის იმედი დაჰკარგოდა.

„ვერასოდეს, ვერ შევძლებ უნივერსიტეტში დაბრუნებასო“ — ფიქრობდა. უკან დარჩა სპორტი, მუსიკა, ამხანაგები, ბედნიერი სამყარო...

მორიდებით შეაღო მისი ოთახის კარი ექიმმა. საწოლზე ჩამოუჯდა და დაბალი ხმით ჰკითხა: — პავლე კორჩაგინი გაგიგონია, მაია? მერესიევი?

— როგორ თუ გამიგონია, — იუკადრისა ქალიშვილმა, — ზეპირად ვიცი მათი ცხოვრება!

— მაგრამ ერთია, როცა კითხულობ და მეორე, როცა შენ თითონვე განიცდი, არა? — გაიღიმა თეთრხალათიანმა, — როცა შენ განიცდი თუნდაც მის მეათასედს, რაც მათ განიცადეს... მაშასადამე, სუსტი ხასიათისა ყოფილხარ, უნებისყოფო...



მაერა გამეზარდაშვილი მოსწავლეებთან



რაიონის მთავარი თერაპევტი როზა ხაჩიძე



აბასთუმნის საკურორტო სამმართველოს მთავარი ექიმი ლამარა იამანიძე



გ. ნატრიაშვილი ნაკვეთში

...მეორე დღეს გაიღო პალატის კარი, შემოიყვანეს ახალგაზრდა გოგონა, რომელსაც ცალი ფეხი მოკვეთილი ჰქონდა. კონსერვატორიას ამთავრებდა, როდესაც ავად გამხდარა. ფეხი კი ბავშვობაში დაუზიანდა და მოკვეთეს.

— ამ ქალიშვილს, — უთხრა ექიმმა მაიას, — ხანდახან მოხმარება დაჭირდება, შეგიძლია თუ არა მიეხმარო?

— როგორ არა, — გამოცოცხლდა მაია. მას დაავიწყდა თავისი ავადმყოფობა, მთელი ყურადღება ფეხმოკვეთილ ქალიშვილზე გადაიტანა.

ისინი მალე დამეგობრდნენ, ხშირად კამათობდნენ ლიტერატურაზე, მუსიკაზე, საყოფაცხოვრებო საკითხებზე. როცა ლენა საოპერაციოდ გაიყვანეს, მაიამ მოსვენება დაჰკარგა, საოპერაციო ოთახს არ მოცილებია, ცდილობდა ყველაფერი გაეკეთებინა, რომ იგი სულიერად არ დაცემულიყო.

ლენას ძალიან უყვარდა მუსიკა. განსაკუთრებით იტაცებდა ჩაიკოვსკი. „რა კარგი იქნება ერთად მოგვასმენინა მისი მუსიკა", — ინატრა ერთხელ.

ექიმი უჩუმრად გავიდა პალატიდან. მეორე დღეს დილას ძილში შემოესმათ მუსიკის ხმა. ლენამ თვალი გაახილა და გაოცებით წამოიძახა: — გესმის, მაია? — მას თვალები უბრწყინავდა. მის საყვარელ მელოდიას ლამარა ექიმი ასრულებდა.

...მაია გამოჯანმრთელდა და დაუბრუნდა უნივერსიტეტს. ერთი წლის შემდეგ ლენამაც დატოვა აბასთუმანი. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ყვავილებით ხელში, თეთრ კაბაში გამოწყობილი მაია მეუღლესთან ერთად ესტუმრა თბილისში. მოიგონეს აბასთუმანი, იქ გაცნობილი მეგობრები და მათთვის საყვარელი ადამიანი, მზრუნველი ექიმი ლამარა იამანიძე.

ძნელია ადამიანზე წერა, გვწერენ რედაქციაში მაია და ლენა, — ძნელია კალმით ასახო ადამიანის მთელი სახე. გთხოვთ თქვენ თვითონ გაესაუბროთ და გაეცნოთ კურორტ აბასთუმნის მთავარ ექიმს ლამარა იამანიძეს და გააცნოთ იგი რესპუბლიკას.

რა გვხიბლავს მასში? — პატიოსნება. პატიოსანია ის ყველგან, ყოველთვის, ყოველ წვრილმანშიც კი. როგორც ექიმი? მასზე ალბათ გესაუბრებიან აბასთუმანში. ჩვენი ლამარა ექიმი არის შეუპოვარი, სულით ძლიერი, ალბათ ეს შეუპოვრობა და ეს სიძლიერე ამარჯვებინებს მას სიკვდილთან ბრძოლაში...

ლამარა იამანიძის ოთახში ყოველთვის ხალხმრავლობაა, აქ მოდიან ადამიანები, ავადმყოფნი, სასოწარკვეთილნი და უიმედონი, მზრუნველი ექიმის დახმარებით და ყურადღებით ბრუნდებიან გაჯანსაღებულნი და გახარებულნი. შემდეგ კი ლამარა იამანიძის სახელზე მოდის მადლობით სავსე წერილები, სიყვარულითა და პატივისცემით გამთბარი ბარათები.

**მაყვალა ოქროპირიძე,**
**ნანული ბარათაშვილი.**

მედეა კახიძე

## უთქვენობა მტერს!

სიკვდილამდე ოდით
მწოლიარე რუ,
სასაფლაოს ლოდი
წლიდან წლამდე ყრუ.
საიდან სად წასული
უქალამნო გზა.
გზად ზვინებზე ასული
გაკოჭილი ძნა.
მუხა განზე გამდგარი
სიბერეშიც მხნე.
სულ ყიჟინად ამტყდარი
ძვალმაგარი ხე.
მზე ნასვამი კახეთის
ხვატიანი დღე,
უხედნი თუ ნახედნი
მდინარე თუ ღრე.
თქვენი ტყვე და მწე
დაგედებით მტლედ,
გული თქვენსკენ მწევს,
უთქვენობა მტერს.

## ვერ ადიდდები!

თუ გულს დასიცხავს
სურვილის ხვატი,
ვნების წინაშე
ვერ ახირდები,
შენც წყურვილივით
გახდები ხარბი,
წყალს წაყვებიან
ყველა ხიდები.
თუ კი სინათლე
არ გიდგას გულში,
ვერ შეიყვარებ
ვერასდიდებით.
თუ კი სათავე
არა გაქვს უხვი,
ვერასდიდებით
ვერ ადიდდები.

## ნაუქითხეთ პატარებს

### ყვავილები და ბავშვები

— ფეხები აქვთ ყვავილებს, —
უთხრა ბავშვებს ნანამ.
გაუკვირდა მარინეს:
— მაშინ რატომ დგანან?!
— ალბათ ღამით დადიან! —
თქვა პატარა ნათიამ.
— უჭკუო ხართ ყველანი! —
აკისკისდა ლევანი. —
ამ პაწია ყვავილებს
მართლა თუ აქვთ ფეხები,
რატომ არ გაგვირბიან,
ხელით როცა ვეხებით?
— იცით, რად არ გარბიან? —
ნანა თავს სწევს ზევით,
— იციან, რომ სწრაფები ვართ,
მაინც დავეწევით!
ლევანი კი იცინის,
ლევანს აჰყვა ლიაც:
— ტყუილია, ტყუილი!
— არა, მართალია!
მაგრამ უცებ ლელამ
დაამშვიდა ყველა:
— დააკვირდით ამ ხელს,
თეთრ ტოტებს რომ არხევს!
ამას წინათ არ გახსოვთ,
აქ ვიყავით ბაღში...
ყვავილები ტოტებზე
როდის იყო მაშინ?
— ვუი, მართლა! — ბავშვებმა
გაიოცეს ერთად.
ბაღში ნუშის ხეები
ქათქათებდნენ თეთრად,
— ჰოდა, — ყვირის ნანა, —
არ მიჯერებთ ახლაც?
თუ ფეხები არა აქვთ,
როგორ აძვრნენ მაღლა?!

გივი ჭიჭინაძე

ანა ველიჩკო

ანა ველიჩკო ახალგაზრდა უკრაინელი პოეტი ქალია. იგი პოლტავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერმუშაკია. მისი ლექსები სისტემატურად იბეჭდება უკრაინულ პრესაში.

## უკვდავების წყალი

ძველი, გამხმარი ოწინარები
გრძელი ცხვირებით წყალს
მიირთმევენ.
და დილის ბინდში განწირულივით
ჰრიალებენ და ტკივილს ითმენენ.

მიწაზე ლპება ჭიანი მსხლები,
მწიფე ვაშლები ტოტზე იცინის.
ყვითელ ფოთლებზე მზის სხივი
სხლტება,
და ორღობეში მიხტის კვიცივით.

...როცა კაცები, მომცინარენი,
მინდვრად დაღლილნი ამ ჭასთან
მოვლენ,
უკვდავების წყალს ოწინარები
გრძელი ცხვირებით აწვდიან
ხოლმე.

უკრაინულიდან თარგმნა
ალ. ტაბატაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ ჯულუხიძე

# გატეხილი სარკე

მოთხრობა



— დილა მშვიდობისა, მარა!
— გამარჯობა, მარა!

საამქროში გაღიმებული შემოდიან გოგონები და სათითაოდ ესალმებიან მარას.

მარა უხმოდ პასუხობს ყველას.

ენაძვირობს.

სხვაზე მეტი საქმეც აქვს და ფიქრიც. ენაწყლიან გოგონებს თავს არიდებს. მოკლედ თმაშეჭრილი გოგონები გალიაში დამწყვდეულ ჩიტებს აგონებს, ჩიტებს, რომლებსაც ეს-ესაა გაუღეს გალიის კარები და სიხარულით ასკდებიან ცას და მიწას, მაღალსა და მწვანე ხეებს დაეძებენ.

მარაც თითქმის ათი წელია იმ მაღალ ხეზე ზის, მაგრამ ისე გავიდა დრო, არ გადაუხედია იმ ხის იქით.

მხოლოდ ერთხელ.

ეს იყო ძალიან ადრე:

მარამ შეიკერა თოვლივით თეთრი კაბა, ვიწრო და მკერდამოჭრილი, ფრჩხილებზე ვარდისფერი ლაქი გადაისვა, თმა, საღამოს რომ დაივარცხნა, მთელი ღამე თავი ბალიშზე არ დაუდვია. დილით უფრო მეტი იცოდვილა... ტუჩები შეიღება და კაბა ჩაიცვა.

კარადასთან მივიდა.

კარადის სარკე ორ ტოლ ნაწილად იყო გატეხილი.

სარკიდან ორი ლამაზი ქალი იცქირებოდა, ორთავეს მაღალი ტანი და სწორი კისერი ჰქონდათ.

მაგრამ ვერც ერთში ვერ იცნო თავისი თავი.

გული ფოთოლივით აუთრთოლდა, სუნთქვა შეეკრა და ძალდატანებით გაიღიმა.

მერე უფრო ახლო მივიდა სარკესთან, სცადა ორი ლამაზი ქალი ერთით შეეცვალა. სარკის ორივე ნაწილს ბრტყლად მიაყრდნო ხელის გულები და ცენტრისკენ მისწია.

სარკე ცივი იყო და მარას მთელ ტანში უსიამო გრძნობამ დაუარა. ცივმა და გატეხილმა სარკემ წარსული გაახსენა.

წარსული სუსხიანი იყო.

სცადა შეეწყვიტა ფიქრი.

ლოგინში მძინარე ძმას გადახედა.

ლევანს მშვიდად ეძინა. სასთუმალთან სკამი ედგა. სკამზე წიგნები და რვეულები ელაგა.

მარა ყოველთვის უჯავრდება ლევანს, მაგრამ ლოგინში კითხვას ვერაფრით ვერ გადააჩვია.

წარსული ისევ ელვის ძაფივით გაიკლაკნა გულში.

ისევ თავის თავს დააცქერდა.

გულზე რაღაცამ უკბინა.

დაუფიქრებლად დაიშალა სახელდახელოდ აჩეჩილი თმები. საჩქაროდ გაიხადა ახალი კაბა და სხვა ჩაიცვა. მერე ისევ სარკესთან დადგა. სარკიდან კეთილი და სანდომიანი სახე იყურებოდა. ახლა უფრო თამამად გადახედა ძმას.

ეს იყო ძალიან ადრე.

მარა ისევ თავდახრილი ზის დაზგასთან და ხან ყდაში სვამს წიგნებს, ხან ფორმებს კრეფს, ხან კი სათუთად კინძავს სქელტანიან წიგნებს. შეიძლება, სხვამ თხოვოს დახმარება, მარა კი არავის შეაწუხებს — ხუთი თითივით იცის სასტამბო საქმე.

„ნეტავ ლევანმა თუ გაიღვიძა დროზე?“ — თავისთვის ფიქრობს მარა. „გუშინწინ სკოლაში დააგვიანდა. მაინც როგორ უყვარს ძილი იმ შეჩვენებულს! გვიან ღამემდე მეცადინეობს, მერე დილით ეზარება გაღვიძება. თუ დღეს არ დააგვიანდა, დღეიდან ადრე დავაძინებ, სინათლეს ჩავუქრობ და არ მივცემ ღამე კითხვის ნებას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღე შეუმჩნევლად მიდის.
მარა წმენდს დაზგას და აჩქარებული ნაბიჯით ტოვებს სტამბას.

* * *

გუშინდელ დღესავით ახსოვს ლევანის დაბადება. ანდა რა დაავიწყებს.

მწარე მოგონებად დარჩა მარას ხალხით გაჭედილი ოთახი, რომლის შუაგულში ტახტი იდგა. ტახტზე გაუნძრევლად იწვა მაღალი ქალი. ის ქალი საოცრად უყვარდა მარას, მაგრამ მაშინ მაინც ეშინოდა მასთან მისვლა. რატომ ეშინოდა, ვერაფრით გაეგო.

იმ ღამეს სიზმარში ნახა მაღალი ქალი.

მარა ცაცხვის ხის კენწეროზე იჯდა. ცაში თეთრი მტრედები დაფრინავდნენ, მტრედები რიგრიგობით მიდიოდნენ მარასთან და წითელი ნისკარტებით უხვევდნენ ოქროსფერ კულულებს. მერე ამოვარდა საშინელი ქარი. მტრედები დაფრთხნენ და გაფრინდნენ. მარტო დარჩა მარა ხის კენწეროზე. ძლიერი ქარი წელში ხრიდა ხეებს. უცებ გოგონა მოსწყდა ხის კენწეროს და დაბლა დაეშვა, მაგრამ მიწაზე არ დაცემულა: მაღალ ქალს ფართოდ გაეშალა თავისი კაბის კალთა და შიგ ჩავარდა.

— დედა!

ხმამაღლა აღმოხდა მარას ეს ერთადერთი სიტყვა და მაშინვე გამოეღვიძა.

ოთახში სინათლე ჩამქრალიყო.

ღია ფანჯრებიდან მთვარის ვიწრო შუქი შემოდიოდა, შუქი შუა ოთახში დადგმულ ტახტს ეცემოდა.

მარა წამოდგა და ფრთხილად ჩამოცურდა იატაკზე. შიშველი ფეხის გულები გრილ იატაკს შეეხო. უფრო გამოფხიზლდა. ფრთხილად მივიდა ტახტთან და ხელები მოაფათურა.

ტახტი ცარიელი იყო.

მარას შეაჟრჟოლა. მაგრამ გულში საოცარი ძალა იგრძნო. იმ წუთში გაიზარდა და დადინჯდა. თითქოს ზღაპრულმა ძალამ ერთად შემატა მთელი თხუთმეტი წელი, წაართვა ბავშვობა და დააფიქრა.

უხმოდ ატირდა. მაგრამ არა ისე, როგორც ჩვეულებრივად ტირიან ხოლმე: მისი ცრემლები თვალთაგან კი არ მოდიოდა, არამედ თვალებიდან რაღაც უხილავი გზით ისევ უკან ბრუნდებოდა, იწევდა ქვემოთ, მკერდში გროვდებოდა და გროვდებოდა, ბორგავდა და საოცრად უწვავდა გულს.

თვალები სიბნელეს შეეჩვია, მარამ ახლა ნათლად დაინახა ლოგინი იქ, სადაც მას ეძინა. მერე კარადა დაინახა, რომელსაც სარკე ორ ნაწილად ჰქონდა გატეხილი.

შეეშინდა.

მარამ გვიან გაიგო მამისაგან სარკის გატეხვის მიზეზი:

დედის დაკრძალვისას ვიღაც კაცს მიცვალებულისთვის ხმამაღლა უთქვამს: „უკან არ მოიხედო, აკმარე ცოცხლებს მწუხარება. ცოცხლების სანაცვლოდ იყოსო“, — უთქვამს და კუბოს ბოლო სამჯერ ირიბად მიურტყამს სარკისათვის.

კარადის გვერდით კიდევ ერთი საწოლი იდგა. მარა ახლოს მივიდა საწოლთან, იქ მამა იწვა, ტანგაუხდელად ჩასძინებოდა. მოღრეცილად ედო თავი ბალიშზე და ძალიან შეწუხებული სახე ჰქონდა. მის გვერდით ხუთი დღის ლევანი იწვა. ცრუ საწოვარი ედო პირში და დროგამოშვებით წოვდა.

მარა დიდხანს უცქერდა მამა-შვილს. მერე ტირილი შეწყვიტა და ფეხაკრეფით გაშორდა საწოლს.

ღია ფანჯრიდან შემოსული მთვარის შუქი ახლა კარადის სარკეში იცქირებოდა, მერე ირეკლებოდა და მთელ ოთახს ანათებდა.

. . .

მძიმედ წავიდა დღეები. მარამ ძალიან ადრე დააკაკუნა სტამბის კარი და იმის შემდეგ სტამბა მისი მეორე ოჯახი გახდა.

მამა უცებ მოტყდა, დაბერდა და ზაფხულის ერთ მთვარიან ღამეს ჩაქრა ცაზე მისი ვარსკვლავი.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა.

* * *

— დილა მშვიდობისა, მარა!

ისევ ზის მარა დაზგასთან და საამქროში შემოსულებს სალამზე ხმადაბლა პასუხობს.

გაისმა ზარის ხმა.

ყველამ წუთში იპოვა თავისი საქმე და ახმაურდნენ მანქანები.

დაზგები ორ მწკრივადაა ჩალაგებული, თითოეულ მანქანას თავისი საქმე აქვს: ზოგი ნაბეჭდ ფორმებს კრეფს და კერავს, ზოგი გვერდებს ჭრის და აკინძულ წიგნს საბოლოო ფორმას აძლევს, მერე კი ყდაში ისმება და ლამაზ წიგნებს ფუთავენ შემფუთველები.

რიტმულად ხმაურობენ მანქანები. მარა კი ისევ ზის და ფიქრობს.

— ცუდად ხომ არა ხართ? — ახლოს მივიდა მასთან საამქროს უფროსი და ხმადაბლა ჰკითხა.

— არა! — შეშინებულივით წამოიძახა მარამ და წამოდგა. უფროსს მეტი არაფერი უკითხავს, შებრუნდა და წავიდა.

„ეს რა მემართება?“ — თავისთვის გაიფიქრა.

მანქანა სწრაფად ჩართო. დაზგის მარცხენა მხარეს მწვანე ნათურა აინთო. დაზგა ახმაურდა.

მარა თვალის დახამხამებაში ალაგებს ფორმებს მოძრავ ლითონზე. ლითონს ფორმები მარჯვნიდან ელვის სისწრაფით ცენტრისაკენ გადააქვს, იქ ფორმებს გამიზნულად ხვდება ძაფაგებული ნემსები და იკერება წიგნი...

„ნეტავ როდის გავა ეს დღე?“ — გაიფიქრა მარამ, — ამდენი შესაკერი წიგნი მაინც როდის დამიწყვეს აქ... ალბათ ლევანი ახლა უკვე სკოლაში მიდის. ვაი თუ ცუდი ბილეთი შეხვდა?...“

ფიქრებში წასული მარა ისე სწრაფად ამოძრავებდა ხელებს, ვერც კი იგრძნო, როგორ დაიღალა.

„ლევანმა თუ დღესაც კარგი ნიშანი მიიღო, თეთრ პერანგს ვუყიდი. საშუალოს ამთავრებს, უკვე დიდი ბიჭია..“

— მარა, რამდენი წიგნი აკინძე? — მოესმა მეზობელი დაზგიდან მარას.

უცებ გამოერკვა.

— ჯერ რაა, ახლა დავიწყე, — თავაუღებლად უპასუხა.

„ვერც იმ გაცვეთილი ტუფლებით ივლის. ნეტავ რამდენს ავიღებ ხელფასს. ყოველთვის სხვებზე მეტს ვიღებ და ახლა რა ღმერთი გაწყრება. არა, დღეს გვიანობამდე ვიმუშავებ. დღეს ალბათ ასმათიც გვიანობამდე იმუშავებს...“

მარამ მზერა ასმათის დაზგისაკენ გააპარა. ასმათი მუშაობდა და ცალი თვალით მარასკენ იყურებოდა. მათი თვალები ერთმანეთს შეეფეთა და ასმათმა გვერდით მჯდომისაკენ გაიხედა. გოგონებმა გაწდობილებივით შეხედეს ერთმანეთს.

მარას არც ეს დარჩენია შეუნიშნავი.

მერე სხვებს შეხედა. სხვებიც მას უცქეროდნენ.

დაიბნა ქალი.

ღილაკს თითი დააჭირა, უნდოდა მანქანა გაეჩერებინა, მაგრამ მანქანა უფრო ახმაურდა. არასწორად მიწოდებული ფორმა ნემსებს შორის მიიკუჭა, ნემსი ლითონს მოხვდა და გადატყდა.

მეორე დღეს მარამ თეთრი პერანგი იყიდა...

„ლევანი თუ ინსტიტუტში ჩაირიცხა, უსათუოდ ფეხსაცმელს ვუყიდი“, — ისევ ფიქრობს მარა და ელვის სისწრაფით ამოძრავებს თითებს, რიტმულად ხმაურობენ მანქანები და მოძრავ ლითონს მარჯვნიდან მარცხნივ გადააქვს ფორმები. „სტუდენტი ხდება ჩემი ლევანი, კარგ სტუდენტურ ჩანთასაც ვუყიდი... ნეტავ რამდენს ავიღებ. ყოველთვის სხვებზე მეტს ვიღებ და ახლა რა ღმერთი გაწყრება?“

იმ ხელფასზე მარამ ფეხსაცმელი და სტუდენტური ჩანთა იყიდა.

— გამარჯობა, ნელი!

— გამარჯობა, ასმათ!

— გამარჯობა, ძიძია!

მოზღვავებული ღიმილით ყველას სალამს აწვდის მარა და მოუსვენრად დადის დაზგებს შორის.

— ასმათ, დღეს ჩემი ლევანი პირველ სტიპენდიას იღებს, — გაბრწყინებული ამბობს მარა და თვალებში შესცქერის ასმათს.

— რას ამბობ, მარა!

— აბა არა? ერთი ოთხიანიც არ მიუღია. მისაღები გამოცდები სულ ხუთებზე ჩააბარა, — ეუბნება მარა და ახლა ძიძიასთან მიდის.

— ძიძია, დღეს კინოში მივდივარ!

— კედელს ნახშირი! შენ და კინო?!

— კი, ძიძია, ჩემი ლევანი მპატიჟობს, დღეს პირველ სტიპენდიას იღებს.

ის დღე უჩვეულოდ გაჭიანურდა.

სამუშაოს დამთავრებისთანავე მარა ტოვებს სტამბას და შინისკენ მიიჩქარის, ავტობუსის გაჩერებამდე გზა ძლივს დალია.

ავტობუსმა ბაგებს რომ მიაღწია, პირველი მარა გადმოხტა, გადმოხტა და ქარად იქცა...

„...ოთახის ფანჯრები ღიაა, ლევანი ალბათ ჩაცმული ზის და მელოდება“...

„კიდევ ოცი ნაბიჯი და სადარბაზოსთან ვიქნები. ერთი, ორი... თხუთმეტი ნაბიჯი დასჭირდა სადარბაზომდე. „კიდევ კიბის თექვსმეტი საფეხური და კარებთან ვიქნები... ერთი, ორი, სამი, ოთხი...“ და მარამ თექვსმეტი საფეხური რვა ნაბიჯით აირბინა.

— ლევან! — ძლივს დაიძახა.

კარი გაიღო და ზღურბლთან ლევანი გამოჩნდა. მარამ ძმას გაუცინა, თქმა კი ვერაფრისა ვერ მოახერხა. დაღლილობა და სიხარული ერთმანეთში ირეოდა. აფორიაქებული გული ყელში ებჯინებოდა, ღიმილით შევიდა ოთახში და შედგა. ოთახი სავსე იყო სარკის პატარ-პატარა ნამსხვრევებით. ფანჯრებიდან შემოსული მზის სხივები ყველა ნამსხვრევში იჭყიტებოდა, ყველა ნამსხვრევი მზეს გავდა და ოთახი სავსე იყო ათასი მზით.

მარამ თვალები დახუჭა, მაგრამ ათასი მზის სხივი მაინც ატანდა წამწამებს შიგნით.

ლევანი უყურებდა მარას და იცინოდა, იცინოდა მთელი სახითა და გულით.

— ხომ არ შეგეშინდა, მარა? ეს მე გავტეხე კარადის სარკე. მაგრამ ნუ გეწყინება, გავტეხე და ახალი ჩავსვი, მე მინდა სამუდამოდ დავივიწყოთ გატეხილი სარკე.

მარამ თვალები გაახილა და ძმას შეხედა.

— ჰო, ლევან... — მარა კარადის ახალ სარკეს დააკვირდა, სარკეში მთელი ტანით ლევანი ჩანდა და იღიმებოდა.

მხატვარი რ. გაჩეჩილაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



# ႪႤႵႺႨႠႸႨ ႫႤႣႨႱ ႮႤႣႠႢႭႢႨ

ლოძის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტები თვალს არ აცილებდნენ მისი ხელის მოძრაობას. იგი აუჩქარებლად და დინჯად ხაზავდა დაფაზე მეტად რთულ გეომეტრიულ ფიგურებს და გატაცებით გადმოსცემდა მათ შინაარსს. ლექციის ბოლოს ტაშმა იგრიალა.

ლექტორი გახლდათ ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პედაგოგი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი მარიამ ლაფერაშვილი.

მას კარგად იცნობენ არა მარტო პოლონეთის, არამედ ბევრი სხვა ქვეყნის მეცნიერები.

იმ საგნებს შორის, რომლებიც უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში ისწავლება, საინჟინრო გრაფიკა მხაზველობით გეომეტრიასთან ერთად წარმოადგენს ერთ-ერთ აუცილებელ და მნიშვნელოვან დისციპლინას. მაღალკვალიფიციური ინჟინერი სწორედ მისი შესწავლის საფუძველზე ყალიბდება.

უკვე 30 წელია, რაც მარიამ ლაფერაშვილი არ ზოგავს თავის ცოდნას, ენერგიას და მუყაითობას, რათა ახალგაზრდობას შეასწავლოს ეს ურთულესი საინჟინრო ხელოვნება.

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იგი სრულიად ახალგაზრდა ასისტენტი მოვიდა და თან მოიტანა იმედები და სიხარული.

მარიამ ლაფერაშვილმა საშუალო სკოლაშივე მიიპყრო მასწავლებლების ყურადღება თავისი მრავალმხრივი ნიჭით, გამჭრიახობით, მუყაითობით და კეთილსინდისიერებით.

საოცარი რამ ხდებოდა. მარიამი არა მარტო ხუთებს ღებულობდა ყველა საგანში, არამედ ერთნაირი გატაცებით მონაწილეობდა როგორც ლიტერატურულ ვიქტორინაში, ასევე მათემატიკურ ოლიმპიადაში. იყო მუსიკალური სკოლის წარჩინებული მოსწავლე, კარგად ხატავდა და უფრო კარგად ხაზავდა.

მარიამ ლაფერაშვილის ნახაზებმა არა ერთი ჯილდო და სიგელი მოუტანა მშობლიურ სკოლას.

შემდეგ მარიამი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სტუდენტი გახდა. გაირბინა სტუდენტობის წლებმაც. ახლაც კარგად ახსოვთ მის მასწავლებლებს, თუ როგორი მონდომებით და საგნის ღრმა ცოდნით გამოდიოდა ტანწერწერტა შავგვრემანი ქალიშვილი მოხსენებებით ინსტიტუტში გამართულ კონფერენციებსა და სემინარებზე.

ლექტორის ხელოვნება ადამიანისაგან არა მარტო საგნის ღრმა ცოდნას მოითხოვს, არამედ ორგანიზაციულ ნიჭს, მაღალ კულტურას, ინტელექტს და ინდივიდუალურ მიდგომას ყოველი სტუდენტისადმი. სწორედ ამ თვისებებით უხვად არის დაჯილდოებული მარიამ ლაფერაშვილი. არავის არ ახსოვს, რომ მას დაეგვიანოს ლექციაზე ან მოუმზადებელი შესულიყოს აუდიტორიაში. მისი პუნქტუალობა და მომთხოვნელობა საყოველთაოდ ცნობილია ყველა იმათთვის, ვინც მას კარგად იცნობს.

მრავალმა სტუდენტმა გაიარა მარიამ ლაფერაშვილის ხელში. ზოგი იყო ბეჯითი და მუყაითი, ადვილად აღიქვამდა სივრცულ კონფიგურაციებსა და გეომეტრიულ თეორემებს, ზოგი ძნელად ითვისებდა საინჟინრო გრაფიკას. ახლაც კარგად ახსოვს მარიამს ერთი სტუდენტი. ვაჟს არ ეხერხებოდა ხაზვა, თუმცა ნიჭიერი ჩანდა, მან გული აიცრუა სწავლაზე, დაიწყო ლექციების გაცდენა. მარიამი ამ დროს თავის დისერტაციას ამზადებდა, დღე და ღამეს ასწორებდა, მაგრამ მაინც სულ იმ სტუდენტზე ფიქრობდა. ბოლოს გამოიძახა და თვითონ შესთავაზა მეცადინეობა. ცხვენოდა ბიჭს, მერე შეუმჩნევლად ჩაება მუშაობაში და მალე უძლიერესი სტუდენტი გახდა.

ასეთი მადლიერი სტუდენტი უამრავი ჰყავდა და ჰყავს მარიამ ლაფერაშვილს. მათ შორის ბევრი ახლა სახელმოხვეჭილი მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი სპეციალისტია.

ხშირად სამეცნიერო-ტექნიკურ საკითხს მარიამი თავის მეუღლესთან — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან — პროფესორ დ. ს. თავხელიძესთან ერთად არჩევს. ისინი ხშირად იღებენ საზღვარგარეთის ტექნიკური ჟურნალების თხოვნას, მიაწოდონ სტატია ამა თუ იმ საკითხზე, მათ იწვევენ სხვადასხვა ინსტიტუტებში ლექციების წასაკითხად, თავიანთი დიდი გამოცდილების გასაზიარებლად. სულ ახლახან საერთაშორისო ჟურნალში — „მექანიზმების შესახებ“, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოდის, დაიბეჭდა ცოლ-ქმრის ერთობლივი შრომა.

მარიამ ლაფერაშვილი კარგი დედაცაა, სამშობლოს მან აღუზარდა ორი საუკეთესო ახალგაზრდა; მისმა ქალვაჟმა წარჩინებით დაამთავრეს საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი. ამჟამად ნათელა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგია და პარალელურად ამთავრებს სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტს ინგლისური ენის სპეციალობით, დავითი კი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მანქანათმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტია.

სიყვარული, ურთიერთგაგება, მეგობრობა და პატივისცემა სუფევს თავხელიძეების ოჯახში, აქ ვერ გაიგონებთ ხმამაღალ სიტყვას. გულითადობა და თავაზიანობა არის ამ ოჯახის ყოველი წევრის დამახასიათებელი თვისება. ეს იმიტომაც, რომ მარიამი არა მარტო გულისხმიერი და მზრუნველი დედაა, იგი ამავე დროს მომთხოვნი, პრინციპული და სამართლიანად მკაცრი ადამიანია.

ბ. ნინოშვილი



# შეწყვეტილი სიმღერა

დარეჯან ძნელაძე ჩვენი მხატვრობის ისტორიაში დარჩება, როგორც კარგად დაწყებული, მაგრამ მოულოდნელად შეწყვეტილი, დაუმთავრებელი სიმღერა (იგი მძიმე ავადმყოფობამ სარეცელს მიაჯაჭვა). ასევე ადრე, 42 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან მისი ძმაც, ქართული სახვითი ხელოვნების ბრწყინვალე წარმომადგენელი — მხატვარი შალვა ძნელაძე. მათი შთაგონების წყარო საქართველოს ერთ-ერთი მშვენიერი კუთხის — რევოლუციონური და საბჭოთა გურიის მშრომელი ხალხის ცხოვრება იყო. მათ არა მარტო პოეტური შუქით შემოსეს და ფერებში აამეტყველეს ეს მხარე, არამედ ნათლადაც ჩამოაყალიბეს (განსაკუთრებით შალვამ) ცხოვრების სინამდვილის მხატვრული ასახვის რომანტიკული კონცეფცია.

საყვარელ ხელოვნებას, ფერწერას დარეჯანი თითქმის ბავშვობიდანვე დაეწაფა. 15 წლის გოგონა, 1922 წელს ტრთოლვით მიადგა სახალხო მხატვრის — მოსე თოიძის სამხატვრო სტუდიას. შემდეგ კი საქართველოს სამხატვრო აკადემიის ფერწერის ფაკულტეტზე სწავლობდა, ეუფლებოდა ფერწერის, ხატვისა და კომპოზიციის ხელოვნებას გ. გაბაშვილის, ი. შარლემანის, აკადემიკოს ე. ლანსერეს და ლ. გუდიაშვილის ხელმძღვანელობით. ამ დიდ ხელოვანთა და მათ უნიჭიერეს მოწაფეთა გარემოში მიმდინარეობდა მხატვარი ქალის შემოქმედებითი მომწიფება, სამყაროსთან მხატვრული მიდგომის ასპექტის ჩამოყალიბება.

აკადემიის დამთავრებისთანავე დარეჯან ძნელაძემ ქართულ თეატრს მიაშურა, როგორც მხატვარმა-დეკორატორმა, ამასთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდა ქართული წიგნის მხატვრულ გაფორმება-დასურათებაში.

დ. ძნელაძეს, როგორც საინტერესო თეატრალურ მხატვარს, ძნელად დაივიწყებს ის, ვისაც ერთხელ მაინც უნახავს მის მიერ გაფორმებული დადგმები: ზ. ფალიაშვილის ოპერა „ლატავრა“ (დეკორაციები და კოსტუმების ესკიზები. 1937 წელი). ამავე თეატრისათვის დარეჯანმა ჯერ კიდევ 1932 წელს „დაისის“ კოსტუმების ესკიზები შექმნა. მხატვარმა საოპერო თეატრში მოიტანა დიდი სამოქმედო სივრცე, დამახასიათებელი ლანდშაფტი, კოლორიტული ფერწერა — ულერადი, ფართო და ჰაეროვანი, მოქმედებისათვის მოხერხებული კოსტუმი, გმირის ხასიათთან უშუალო კავშირში მყოფი მეტყველი ფერადოვნებითა და თარგით.

ასეთივე კონცეფცია, ოღონდ უფრო ზომიერი და რამდენადმე ძუნწად გამოვლენილი, გვხვდება მხატვრის მიერ გაფორმებულ თეატრალურ დადგმებში: უ. ჩხეიძის „გიორგი სააკაძე“ ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის თეატრი. 1939 წელი), ლ. გოთუას „ერეკლე მეფე“, ს. შანშიაშვილის „უგვირგვინო მეფენი“ (სოხუმის სახელმწიფო დრამატული თეატრი, 1938 წ.), გ. გაბუნიას „ორჯონიკიძის ხმალი“ (1942 წ.). ამ დადგმათა ესკიზები ყოველთვის დამყარებულია სასცენო სივრცის, როგორც სასიცოცხლო და სამოქმედო არის, გააზრებაზე. მისთვის, როგორც თეატრის მხატვრისათვის, დამახასიათებელია სასცენო სივრცის ფერწერული აღქმა და გადმოცემა.

თეატრში მუშაობამ, დეკორატიულობის გრძნობამ მხატვარს საშუალება მისცა შეექმნა საპარადო ეროვნული კოსტუმები. განსაკუთრებით აღსანიშნავია 1936 წელს, მოსკოვის ფიზკულტურული პარადისათვის შექმნილი ეროვნული კოსტუმების ესკიზი.

ამ დიდ და საპასუხისმგებლო შრომასთან ერთად, მხატვარს წამითაც არ მიუტოვებია დაზგური ფერწერა; მუშაობდა პორტრეტული, საყოფაცხოვრებო და ისტორიულ-რევოლუციური თემების ასახვაზე, მონაწილეობას იღებდა ქართველ მხატვართა თითქმის ყველა გამოფენაზე. ამასთან ერთად, ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას, ასწავლიდა საქართველოს სამხატვრო აკადემიასთან არსებულ სამხატვრო ტექნიკუმში.

ერთი წლის წინათ იგი წავიდა ჩვენგან. შეწყდა მისი შთაგონებული სიმღერა.

შალვა კვასხვაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა











ეროვნული ბიბლიოთეკა









ეროვნული
ბიბლიოთეკა









ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოლმეურნეობა და თორმეტი შვილობილი

ჩანახატი

ახლა რომ გათეთრებულს ხედავთ, ასეთი როდი იყო. იგი ახალგაზრდა შეხვდა ათას ცხრაას ოცდაერთ წელს. წარმოსადეგი ვაჟის ქალიშვილი სონია ლორთქიფანიძე მაღლაკელ სევერიან ნიჟარაძეს რომ ცოლად გაჰყვა, უზრუნველ ცხოვრებაზე ფიქრობდა.

დროება შეიცვალა, სევერიანე და სონიაც ახალ იდეებს გამოედევნენ, კერძო საკუთრება ზედმეტად მიიჩნიეს და, რაც გააჩნდათ, ყველაფერი კოლექტიურ მეურნეობაში შეიტანეს.

გამთენიისას მიდიოდნენ კოლმეურნეობის ყანების სათოხნად სონია და სევერიანე, მათ გვერდში ედგნენ სოფლის გლეხები. პირველ წელიწადს მხოლოდ სიმინდი დათესეს კოლმეურნეებმა და მოტეხილი ტაროები გოდრობით მიითვალეს.

გავიდა წლები. სონია ბრიგადირად დააწინაურეს. თანასოფლელებთან ჩვეულებრივად კეთილი, საქმეში მტკიცე და მომთხოვნი გახდა. ბრიგადის წევრებმა კარგად შეიცნეს მისი ბუნება, შრომაში მხარი აუბეს და მოწინავენიც გახდნენ.

ომი დაიწყო. ძალიან რომ გეცადათ, შვიდ მამაკაცზე მეტს ვერ დათვლიდით კოლმეურნეობის სათოხარში. თავსაფრიანმა ქალებმა გადაამწვანეს ყანები. მერე ამ სიმწვანეში შავი ფერი გამოერია. იმატა გლოვისფერმა თავსაკრავებმა, იმატა მათი შრომის ბარაქამ. ასობით ამანათი შეფუთეს დამარცვულმა ხელებმა — იგზავნებოდა ფრონტზე მათი მოწეული და დანაზოგი: ხილი, სულგუნი, არაყი... ამანათებს მაღლაკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სონია ნიჟარაძე აწერდა ხელს.

ის თანასოფლელების დიდი ნდობით სარგებლობდა. ამიტომაც სხვადასხვა დროს კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანიც იყო, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეც, კოლმეურნეობის გამგეობის წევრიც, ბავშვთა ბაგის დიასახლისიც, რაიონული საბჭოს დეპუტატიც, რაიონული სასამართლოს წევრიც.

სონიამ იცოდა საქმეში ხალხის აყოლიება, მათი დახმარებითავრცელებდა სახელმწიფო სესხს, არიგებდა აბრეშუმს, ატარებდა კონცერტებს, შემოსავალი ხმარდებოდა სკოლის რემონტს, ქუთაისის ბავშვთა სახლს, კოლმეურნეობის სამკითხველოს.

...სონიას შესანიშნავი მოვლილი აქვს ეზო-კარმიდამო ყოველთვის სანაქებოა მისი ვენახი, ხეხილის ბაღი, ბოსტანი. იგი სტუმართმოყვრულად მასპინძლობს ყველას, ვინც კი კარებს შეუღებს.

რაც მთავარია, იგი თორმეტი ბავშვის გამზრდელია. თორმეტივე სხვისი იყო, არც ერთი არ იყო საკუთარი. ერთი ავ დედინაცვალს მოარიდეს და მოუყვანეს, მეორე რუსეთიდან ევაკუირებული იყო, მესამე მშობლებს დაჰკარგვოდა სადგურზე, მეოთხე დედმამით ობოლი იყო...

ასე ითხოვა პატრონობა თორმეტივემ და ნიჟარაძეების სახლმა ყველას მისცა თავშესაფარი. ყველამ ისწავლა, სკოლაში იარა, შემდეგ ზოგიერთებს მშობლები გამოუჩნდნენ და წაიყვანეს, ზოგიერთები კი დაიზარდნენ, დაოჯახდნენ, ცალკე დასახლდნენ.

ნიჟარაძეების კარმიდამოში თორმეტმა ბავშვმა ირბინა, იცელქა, იკისკისა და მშობლიური გრძნობით აავსო ოჯახის დედა-ბოძი.

წარმოიდგინეთ, აკვანიც კი დაირწა შუა ოთახში, ოცი დღის ბავშვის აკვანი. ის თავიანთ გვარზე დასწერეს, ჭაბუკა დაარქვეს და სავალალოდ, ჭაბუკობაშივე დაჰკარგეს. ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა ნიჟარაძეების ვაჟიშვილი და მშობლების სიბერეს სიმწარე გამოურია.

თუ დაუკვირდებით, არაჩვეულებრივი ქალია სონია ნიჟარაძე. მისი ცხოვრება გაწვდა კოლმეურნეობას და თორმეტ შვილობილს.

ლია ნინიძე



# ქართული რეალისტური თეატრის ტრადიციებით



„მეხალაცუშული ქალი“. ციცუნა — მ. ნიკოლაიშვილი, გიგა — ვ. კოხრეიძე.



„მზიანი ღამე“. კომკავშირული კრება.

1967 წელს თბილისის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტისა და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის კურსდამთავრებულები, ახალგაზრდული მონდომებით, ენთუზიაზმით, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით გამსჭვალულნი, სამუშაოდ გაემგზავრნენ ქართული კულტურის უძველეს ცენტრში — ახალციხეში, სადაც ახალი პროფესიული თეატრი გაიხსნა.

ჩვენს რესპუბლიკაში ეს თეატრი ყველაზე ახალგაზრდაა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არსებობის ორ წელს ითვლის, არამედ იმიტომაც, რომ დასის წევრთა უმრავლესობა პირდაპირ სასწავლებლის მერხიდან არის მოსული; არც ერთ მათგანს ჯერ არ ჰქონია ცხოვრებისეული გამოცდილება, თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფია; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე ჭაღარამოსილი მუშაკი, მსახიობები — თამარ ჩერქეზიშვილი, კუკური ზამბახიძე, მათთან ერთად დიდი გამოცდილების მქონე ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თეატრის დირექტორი მიხეილ მეძმარიაშვილი, ახალგაზრდული ენერგიით, გატაცებით და თავგამეტებით მუშაობენ ქართული მხატვრული სიტყვის დასამკვიდრებლად, რადგან სწამთ და სჯერათ, რომ ამით დიდ ეროვნულ, საშვილიშვილო საქმეს ემსახურებიან.

ახალგაზრდა მსახიობთა დაოსტატების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვით მათ პედაგოგ-რეჟისორებს: ალ. მიქელაძეს, ნ. გაჩავას, ი. კაკულიას, ლ. შატბერაშვილს, რომლებმაც ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ჯგუფს სათუთ ნობათად გაატანეს მზა სპექტაკლები: „კოლმეურნის ქორწინება“, „სიბრძნე სიცვდილისა“, „რომეო, ჯულიეტა და წყვდიადი“.

ჯეროვნად უძღვება თეატრის შემოქმედებით საქმიანობას თეატრის მთავარი რეჟისორი ნანა დემეტრაშვილი. თეატრის რეპერტუარი გამოირჩევა თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნებით. კოლექტივს სამართლიანად აქვს კურსი აღებული თანამედროვე ქართულ დრამატურგიაზე; ამასთან შეძლებისდაგვარად ეთმობა ადგილი სხვა ხალხთა ცხოვრების ამსახველ სცენურ ნაწარმოებებსა და კლასიკურ მემკვიდრეობას.

მესხეთის სახელმწიფო თეატრი მიმდინარე წლის ივნისში თბილისს ეწვია და სამი სპექტაკლი ჩამოიტანა: ო. ჩხეიძის „თე-



„თედორე“. თედორე — თ. გამყრელიძე.

დორე“ (დადგმა — ნ. დემეტრაშვილისა, მხატვარი — თამაზ ხუციშვილი, მუსიკა — ო. თაქთაქიშვილისა, მხატვარი-კონსულტანტი — ფ. ლაპიაშვილი, ლოტბარი — შ. ალთუნაშვილი), გ. ბერიაშვილის „მეხდაცემული კაკალი“ (დადგმა — გ. მაცხონაშვილისა, მხატვარი — ა. გოგოლაძე, მუსიკალური გაფორმება — ალ. ლეჟავასი), ნ. დუმბაძის „მზიანი ღამე“ (დადგმა და მხატვრული გაფორმება — ნ. დემეტრაშვილისა, ჭედური ნამუშევრები — ა. გოგოლაძისა, მუსიკა — ვ. აზარაშვილისა).

ანტიკური ტრაგედიის ფორმით გადაწყვეტილი, შესანიშნავი ქართულით დაწერილი „თედორე“ დიდი პატრიოტული სულისკვეთების, სამშობლოს ერთგულებისა და თავდადების ყღერადობის სპექტაკლია. სასიამოვნოდ გვაოცებენ ახალგაზრდა მსახიობები: თ. გამყრელიძე, გ. პატარიძე, პ. ქადაგიშვილი, ისინი დიდი ტემპერამენტითა და შემოქმედებითი ზომიერებით ასულდგმულებენ თავიანთ გმირებს, მათი თამაში ემოციური და შთამბეჭდავია. უყურებთ სპექტაკლს და ხარობთ, რომ ასეთ ახალგაზრდებს შესწევთ ძალა პიესის ღრმა აზრი ასე მკაფიოდ მოიტანონ მაყურებლამდე.

სპექტაკლ „მზიანი ღამის“ წარმატება აიხსნება, როგორც ნაწარმოების ღირსებით, ისე მსახიობთა მონდომებული თამაშით და ნაწარმოების პერსონაჟთა და შემსრულებელთა ასაკობრივი დამთხვევით.

მესამე სპექტაკლი — გ. ბერიაშვილის კომედია „მეხდაცემული კაკალი“ დადგა ახალგაზრდა, მაგრამ გარკვეული გამოცდილების მქონე რეჟისორმა გურამ მაცხონაშვილმა, იგი თითქოს მოქანდაკესავით კვეთს ხოლმე თითოეული გმირის ხასიათსა და სახეს. სწორედ ასეთ მუშაობას უნდა მივაწეროთ ამ სპექტაკლში ცალკეული აქტიორული წარმატებები ლ. სულუაშვილის ნაზო, თ. ჩერქეზიშვილის თებრო, მ. თუშიშვილის ივლიტა, ვ. ნიკოლაიშვილის ციბულა, ს. ბაკურაძის ირაკლი, სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობს დრამატურგული მასალა, რომელიც ჰქადაგებს მაღალ ზნეობასა და მორალს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსახიობთა კოლექტივს ახასიათებს საამო პლასტიკურობა და ვოკალური მონაცემები, რაც მომხიბლაობას მატებს მათ თამაშს.

როდესაც ვლაპარაკობთ მესხეთის ახალგაზრდა თეატრალური კოლექტივის კარგ მუშაობაზე, უსამართლობა იქნებოდა არაფერი გვეთქვა იმ ყურადღებისა და ზრუნვის შესახებ, რასაც იჩენენ ამ თეატრის მიმართ ახალციხის, ასპინძისა და ადიგენის რაიონების ხელმძღვანელები.

მესხეთის სახელმწიფო თეატრმა საამო კვალი დასტოვა დედაქალაქის როგორც თეატრალურ საზოგადოებრიობაში, ასევე ფართო მაყურებელში. ვუსურვოთ თეატრის კოლექტივს ახალი შემოქმედებითი ძიებები და გამარჯვებები ქართული საბჭოთა ხელოვნების სასიკეთოდ.

თეატრმცოდნე მარგარიტა გოგოლაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბავშვობასავით განუმეორებელი

მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობს — ბორის იაკობის ძე პეტკერს თავის მოგონებებში ერთ ცნობილ მსახიობ ქალზე ასეთი ფრაზა აქვს: „იგი არასოდეს არ ყოფილა ლამაზი, მაგრამ, განა შესაძლებელია მის გვერდით სხვას დავუთმოთ უპირატესობა?

ლამაზმანებო, განზე გადექით!“

მეც მოწიწებით ვიხსენებ ამ სიტყვებს, როდესაც ლაპარაკია რესპუბლიკის სახალხო არტისტზე გოგუცა კუპრაშვილზე, ქალზე, რომლის სახელს დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში შეხვდებით, ქალზე, რომელსაც 60 წელი შეუსრულდა, მაგრამ ეს ბოლო ფაქტი მაინც გამოცანად გვეჩვენება მისი ენერგიის, მისი მგზნებარე ტემპერამენტის შემყურეს.

სულ პაწაწინა გოგონა იყო, როდესაც დიდმა აკაკიმ მუხლზე დაისვა და ასე გადაიღო სამახსოვრო სურათი. მხცოვანი მგოსანი მოხიბლა პატარა გოგუცას მიერ გრძნობით წაკითხულმა ლექსმა. ეს ერთგვარი დალოცვა იყო მომავალი მსახიობი ქალისა.

მინახიხარ ძველ გაზეთში
აკაკისთან მუხლზე მჯდარი,
შემოგხარის პაწაწინას
ჩვენი ლექსის ჯადოქარი —

დაუწერა იოსებ გრიშაშვილმა გოგუცას.

ლექსის ჯადოქარს სცენის ჯადოქარმა გაუმართლა შემდეგში იმედი. ეს არ არის ტრაფარეტული თქმა — თაობებს ახსოვთ ის ჯადოქრული ზეგავლენა, რასაც სცენიდან ახდენდა გ. კუპრაშვილი, თაობები დამდეგარიან სპექტაკლების დამთავრებისას ავანსცენასთან ახლოს და დაყინებით, ჯიუტად უყვირიათ მისი სახელი, კიდევ და კიდევ, კიდევ და კიდევ. პირუთვნელი და ზოგჯერ უწყალოა პატარა მაყურებელი. იგი არავითარ შეღავათზე არ მიდის. მოსწონს? — მაშასადამე, მართლა მოსწონს! ამიტომ არის ძნელი მისი გულისკენ გზის გაკვალვა. გოგუცა კუპრაშვილი კი წლების მანძილზე მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სცენიდან პირდაპირ გადადიოდა ამ გულებში. მისი გიქორი, მისი ვახუშტი, გრიშუტკა, მისი წუნია — დიახ, მხოლოდ და მხოლოდ მისი, მისეული, განუმეორებელი... იმ წლებში, როდესაც კუპრაშვილის ბიჭები — გონებამახვილები, ონავრები, საყვარლები სცენაზე ცხოვრობდნენ, გიზგიზებდნენ, მსახიობი ქალი თეატრის შესანიშნავ ანსამბლთან ერთად ზეიმად აქცევდა ყოველ სპექტაკლს.

ასაკში შესულ თაობას ყოველთვის ჰგონია, რომ მისი ბავშვობის დროს უფრო სხვანაირად, უფრო უკეთესად და საზეიმოდ იყვნენ განწყობილნი ამა თუ იმ მოვლენის მიმართ. ეს, რასაკვირველია, ისევ და ისევ ასაკის ბრალია. მოდიან სხვა ბავშვები, მოაქვთ უფრო მაღალი ინტერესები, უფრო უკეთესი გემოვნება და მათი მომთხოვნელობაც ამის შესაბამისად უფრო „მკაცრია“.

მაშინ კი... ჩვენ ვახამებდით დიახ, ვახამებდით აბრეშუმის ბაფთებს, ვაუთოებდით ფორმის კაბებს და საზეიმო იერით შევდიოდით საყვარელი თეატრის ფოიეში. აქ, თეთრი კედლებიდან გვიყურებდნენ ჩვენი „კერპები“ — მსახიობები; რა დასამალია, ზოგჯერ ჩვენ ცხარე კამათი გვქონდა, რომელი უკეთესი იყო, ვინ ვის ჯობდა.., გოგუცა კუპრაშვილზე კი ყველა ერთხმად წევდა ხელს მაღლა. იგი ყველას კერპი გახლდათ.

და აი, გონგის მძიმე, მოგუდული ხმა... ჩვენ ფაციფუცით მივსრიალებთ, გავრბივართ ფოიეს მოკრიალებულ იატაკზე და ჯგროდ ვაწყდებით პარტერს, იარუსებს სკასავით ვზუზუნებთ. ფარდა იხდება და ვწყნარდებით, მაშინვე ვწყნარდებით. ფეხზე შემართული პედაგოგები კი მრისხანედ იმზირებიან თითო-ოროლა წესრიგის დამრღვევისაკენ. „ჩუმად“, — ანიშნებენ. რა ვუყოთ, თავისებური მაყურებელი ვართ! ჩვენ შეგვიძლია ხმამაღლა ვიტიროთ, დაურიდებლად ვიხარხაროთ და შევუძახოთ კიდეც, გავაფრთხილოთ გმირი, თუ მტერი ფეხაკრეფით ეპარება.

და ჩვენ გულიანად ვიცინით, როდესაც გაამპარტავნებულ ნახევრად · ყეყეჩ ბატონიშვილ ვახუშტის გონებამახვილი ნაცარქექია ჯაბნის, აი, გოგუცა — ვახუშტი სუფრას მიჯდომია და მადიანად ილუკმება. მაგრამ, არა. მადიანად კი არა, ულაზათოდ, უშნოდ, ნამდვილი ღორმუცელაა. აი, ვახუშტი ცოცხზე ფეხს უდგამს ნაცარქექიას და ეაჯება, გინდა თუ არა, ვიშაიროთო. რა ჭირის ოფლს იწურავს, გომბეშოსავით იბერება, აქაო და შაირობაში ვაჯობოო. ნაცარქექია კი თავს იქნევს და ღიმილმორეული შეუძახებს: „ვახუშტიო, ვახუშტიო, ვაჰ, რა ბიჭი გაფუჭდიო!“

ანდა კომბლე, ძროხის კუდი რომ აურევია და ისე დაეძებს სამართალს ბატონთან, მეფესთან. მერე კი, საშველი რომ არავინ დააყენა, თავად გადაჭრა სამართალი — ზურგი აუჭრელა მეფესაც და ბატონსაც, და... გადარეული პარტერი სიხარულით ყიჟინებს.

პარტერს ახალი საოცრება ელის: პროგრამაში გარკვევით წერია: მეფის ასული წუნია — გოგუცა კუპრაშვილი, როგორ! გოგუცა კუპრაშვილი და ქალის როლი? მერედა გუშინ არ იყო ვახუშტით რომ მოგვაჯადოვა? მაგრამ, სიმართლეს ვერ გაექცევი: გოგუცა — წუნია, ანჩხლი, პრანჭია; კაბის კალთას ჭირვეულად იჭერს და ისე მიდის სასახლეში გამოცხადებულ სასიძოებთან. „ფუჰ“! — ამბობს მჭახე, ზიზღიანი ხმით.

— რა უშნოა! ეს რამოდენა ცხვირი აქვს!

„ქალბატონო, — ამბობს შეურაცხყოფილი სასიძო, — მე ამ ცხვირით ვამაყობ!“

კარისკაცი ახალი სასიძოს ტიტულს აცხადებს: „ზღვათა ხელმწიფის ვაჟი მზეჭაბუკი“. მზეჭაბუკი — ჩაჩანაკი, სიბერისგან დაყრუებული და აკანკალებული, თვალჩამქრალი. იგი უკულმა ჯდება სკამზე. ფრთხილად შემოატრიალებენ და ასე წარუდგენენ წუნიას. მათი დიალოგი. მოკლე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ბრწყინვალე, აქტიორული თვალსაზრისით ისეთი ძლიერი იყო, რომ დღესაც შემორჩენია ყურთასმენას;

— ამ მიცვალებულს რაღა უნდა აქ?

— ქალბატონო, მე პაპაჩემს ვეტყვი! — მუქარით მიბანცალებს მზეჭაბუკი.

წლები მიდიან. შთაბეჭდილებები, სპექტაკლები, გასტროლები, მსახიობები... მეხსიერების სიღრმეს ახალ-ახალი ფურცლები ახვავდება. ამ სიღრმიდან კი მაინც ნალვერდალივით ანათებს პირველი შეხვედრა თეატრთან, პირველი შეხვედრა ხელოვნებით შთაგონებულ ადამიანებთან. ამ ადამიანთაგან ერთი პირველი თქვენ ბრძანდებით, ბავშვობასავით საყვარელო მსახიობო ქალო. თქვენს სამუშაო ოთახში ჩვენ ვნახეთ უამრავი მასალა, რომელიც მეტად მნიშვნელოვანია ქართული საბავშვო თეატრის ისტორიისათვის, ჩვენ ვნახეთ, რა გულმოდგინებით შეგიდგენიათ მრავალი ალბომი, ამოგიჭრიათ, აგიკინძიათ პრესაში გამოქვეყნებული ყოველი წერილი, თვალისჩინივით გაფრთხილებიხართ ყოველ მონაწერ ბარათს თუ მოსალოც დეპეშას ჩვენი ქვეყნის მრავალი კუთხიდან. საქვეყნოდ განთქმული დიდი ხელოვანები, თეატრები ეპითეტებს არ იშურებენ თქვენს შესამკობად. მაგრამ, ნუ დაივიწყებთ, რომ ყველაზე დიდი შეფასება თქვენმა პატარა მაყურებლებმა მოგცეს, როდესაც გზადმიმავალს თვალი მოგკრეს:

„ბავშვებო, გოგუცა კუპრაშვილი მოდის!“

როდესაც გოგუცა კუპრაშვილს 60 წელი მივულოცეთ, მან თავისებური პირდაპირობით გამოგვიცხადა: „60 წელი? წლები მე ფარ-ხმალს ვერ დამაყრევინებს!“ ეს მართლაც ასეა. იგი კვლავ დაუღალავად ემსახურება ნორჩ თაობას, ემსახურება უკვე როგორც პედაგოგი; მას ჰყავს მხატვრული კითხვის წრეები, მონაწილეობს ბავშვთა თვითშემოქმედების დათვალიერებაში, კონკურსებში, ოლიმპიადებში, როგორც ჟიურის წევრი. ქართველმა მკითხველმა გულთბილად მიიღო მისი წიგნები: „მე ისევ თქვენზე ვფიქრობ“ და „ბავშვთა მხატვრული აღზრდის ზოგიერთი საკითხი“. თუ პირველი წიგნი განვლილ შემოქმედებით გზასა და თეატრის ისტორიას დასტრიალებს თავს, მეორე წიგნი დღევანდელობით სუნთქავს, დღევანდელი ნორჩი თაობის მხატვრულად აღზრდის საქმეს ემსახურება.

**ნაზი კილასონია**



გრიშუტკა. ვ. დარასელიას „კიკვიძე“

წუნია. გ. ნახუცრიშვილის „კომბლე“.





სასუნი. ბ. სპირანიანის „შეხვედრა“.

...ური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თბილისის დენდროლოგიური პარკი



პარკის დირექტორი ნელი ბაკურაძე





თბილისის ზღვა დედაქალაქის მშრომელთა საყვარელი დასასვენებელი ადგილია. სულ ახლო წარსულში მის გარშემო ხრიოკი ადგილები იყო, ზაფხულში ყველაფერს სიცხის ალმური ასდიოდა.

1954 წელს საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა გადაწყვიტა თბილისის ზღვასთან დენდროლოგიური მცირე ბოტანიკური პარკის გაშენება. პარკისათვის გამოიყო 250 ჰექტარი ფართობი. პარკის გაშენება დაიწყო 1956 წლის შემოდგომაზე, გენერალური გეგმით გათვალისწინებული სტანდარტული ნარგავების ნაცვლად დაირგა მრავალწლიანი ხეები, რომელთა ასაკი 10-15 წელს აღწევდა.

პარკში ამჟამად 350 სახეობის მცენარე იზრდება. აქ შეხვდებით არა მარტო საქართველოში და საბჭოთა კავშირში გავრცელებულ ჯიშებს, არამედ მოძმე სოციალისტური ქვეყნებიდან ჩამოტანილ წიწვიან და ფოთლოვან მცენარეებსაც. თითქმის ყველა მათგანი შეეგუა აქაურ ჰავას და კარგადაც გაიხარა. სხვა ბოტანიკური ბაღებისაგან განსხვავებით, აქ ნარგავები განლაგებული გარკვეული სისტემის მიხედვით: თითოეული ჯიშის ხე, თავისი ნაირსახეობებით, მასობრივად არის დარგული დიდ ფართობზე. მაგალითად, პარკში ამჟამად არის შავი ფიჭვის, კედარის, კაკლის, ცაცხვის, მუხის, რცხილის ასამდე ნაირსახეობა. აღსანიშნავია, რომ პირველად აქ მოუყარეს თავი საბჭოთა კავშირში მეტად გავრცელებული მცენარის — ვერხვის ყველა ჯიშს.

პარკის გაშენება დღეისათვის თითქმის დამთავრებულია. დარგულია 60 ათასი ხე და ბუჩქი. სანერგეში, ე. წ. საკოლო განყოფილებაში, ხდება ახალი ჯიშების გამოყვანა პარკის შესავსებად, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის პარკი პირველ დამსვენებლებს მიიღებს.

პარკში მრავლად არის ხოხობი. სასიხარულოა, რომ ეს იშვიათი ფრინველი, რომლის სახელთანაც ლეგენდა თბილისის წარმოშობას აკავშირებს, გადაშენებას გადაურჩა და კვლავ თავის სამშობლოს დაუბრუნდა. პარკიდან ხოხობი ხუდადოვის ტყეშიც გადავიდა. აქ თავშესაფარი ნახეს სხვა ფრინველებმაც. მომრავლდა კურდღელი.

სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, პარკი სამეურნეო ანგარიშზე რომ გადაეყვანა, გააშენა 10 ჰექტარი ხეხილის ბაღი, 15 ჰექტარი ვენახი, 2,5 ჰექტარი ვარდის ბუჩქი, პარკის მშვენებაა ტალავერი, რომელიც 3 ჰექტარზეა გაშენებული. აქ იზრდება საქართველოში გავრცელებული ყველა ჯიშის ვაზი.

თბილისის დენდროლოგიური პარკი მარტო დასასვენებელი ადგილი როდი იქნება, ის გახდება საქართველოს მდიდარი ფლორის შესწავლის უდიდესი მეცნიერული კერა.

პარკს ბევრი მნახველი ჰყავს. აქ მოდიან საბჭოთა და უცხოელი სპეციალისტები, საზოგადო მოღვაწეები, გამოჩენილი ადამიანები, ისინი აღტაცებული არიან მისი სილამაზითა და მრავალფეროვნებით და მაღალ შეფასებასაც აძლევენ ქართველ მეტყევეთა შრომას, ამას წინათ თბილისის დენდროლოგიურ პარკს ესტუმრა ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია, რომლის წევრთა მონაწილეობით პარკში შეიქმნა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკასთან მეგობრობის კუთხე.

ორი წლის წინათ თბილისში ჩატარდა ჟურნალისტთა საერთაშორისო კონფერენცია. კონფერენციის მონაწილენი ესტუმრნენ დენდროლოგიურ პარკს და გააშენეს მსოფლიოს ჟურნალისტთა მეგობრობის ულამაზესი ხეივანი. ბევრი გულთბილი სიტყვა და გულითადი სურვილი ჩაწერეს შთაბეჭდილებათა წიგნში უკრაინელმა მეტყევეებმა, აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, ფრანგმა სტუმრებმა, და კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენმა მადლიერმა დამთვალიერებელმა.

დენდროლოგიური პარკის გაშენებაში აქტიურად მონაწილეობდნენ თბილისის მშრომელები. შაბათობებზე, დასვენების დღეებში ისინი ხშირად ამოდიოდნენ აქ, თხრიდნენ ორმოებს, რგავდნენ მცენარეებს, რწყავდნენ ნარგავებს.

ადამიანები, რომლებიც ამ პარკში მუშაობენ, ძალღონეს არ იშურებენ მწვანე მეგობრების კეთილდღეობისათვის. პარკის კოლექტივი საქმის დიდი მოყვარულია, შეიარაღებულია გამოცდილებითა და მეცნიერული ცოდნით. მას სათავეში უდგას ახალგაზრდა მეცნიერი ნელი ბაკურაძე, ნიჭიერი, უნარიანი ხელმძღვანელი, რომელიც დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს თანამშრომელთა შორის. აღსანიშნავია, რომ დენდროლოგიური პარკის მშენებლობაში დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, მის თავმჯდომარეს ი. ჩოდრიშვილს, რომლის ხელმძღვანელობით, თავდაუზოგავი შრომით შესრულდა ეს საშვილიშვილო საქმე.

**მარინე მუხურიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანთებული ლამპარი

— დედიკო, მალე გათენდება? — იკითხა სიცხისაგან გათანგულმა გოგონამ და ხელები ჰაერში უმწეოდ გაასავსავა.

მარიამს ხელიდან რძიანი ქილა გაუვარდა.

— ნუთუ ქუნთრუშამ ბავშვი დამიღუპა?!.. — შეძრწუნდა დედა და შვილის საწოლთან მიიჭრა.

ოთხი წლის გოგონა გულაღმა იწვა. მძიმედ სუნთქავდა, თვალებს უმწეოდ ახამხამებდა, პატარა სწორი ცხვირის ნესტოები საბერველივით ებერებოდა. შუბლზე ოფლის წვეთები მარგალიტის მძივებივით ეყარა.

* * *

სად არ წაიყვანეს მარიამმა და სტეფანე ხუციშვილებმა სამკურნალოდ პატარა ანეტა, მაგრამ არაფერი ეშველა. ოჯახის წევრებს (ანეტას მშობლებს მის გარდა 5 შვილი ჰყავდათ) ისღა დარჩენოდათ, რომ არ მოეკლოთ უსინათლო ბავშვისათვის ზრუნვა, სითბო და სიყვარული, შეემსუბუქებინათ ტანჯვა, ცხოვრების გზაზე დაეყენებინათ.

გოგონა სასკოლო ასაკის გახდა. მისი ტოლ-ამხანაგები ჩანთით ხელში სკოლისკენ გაეშურნენ. ანეტას მშობლებს გული უკვდებოდათ, როცა კუთხეში მოწყენით მიმჯდარ შვილს შეჰყურებდნენ. ბოლოს ნათესავების რჩევით ბავშვი სასწავლებლად არბოშიკიდან თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატში ჩამოიყვანეს.

მშობლები და ნათესავები ხშირად აკითხავდნენ, აღმზრდელ-მასწავლებლები ალერსს და ყურადღებას არ აკლებდნენ, მაგრამ ძნელი აღმოჩნდა მისთვის დედის კალთიდან მოცილება. 13 წლისამ კი სამუდამოდ დაკარგა დედა.

1938 წელს ანეტამ სკოლა-ინტერნატის რვა კლასი დაამთავრა და სწავლა განაგრძო ყოფილ მე-4 შრომის სკოლაში, რომელიც 1940 წელს დაასრულა

იმავე წელს სამმა უსინათლო ქალიშვილმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარი შეაღო. ანეტა ხუციშვილი და ვართანუშ სარქისიანი ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები გახდნენ, ირინე ზურაბაშვილი იურიდიულ ფაკულტეტზე შევიდა.

ისინი ამიერკავკასიაში პირველი უმაღლესდამთავრებული უსინათლო ქალები იყვნენ. ანეტამ მუშაობა დაიწყო უსინათლოთა საზოგადოების მახარაძის სახელობის სასწავლო-საწარმოო წამოწყებაში. მაშინ იგი 25 წლისა იყო.

1947 წლიდან ანეტა ახალ ცხოვრებას იწყებს. იგი თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის დაწყებითი კლასების მასწავლებლად დანიშნეს.

უსაზღვრო იყო ქალიშვილის სიხარული. თან უცნაურმა მღელვარებამ შეიპყრო — თავის მშობლიურ სკოლას მასწავლებლად უბრუნდებოდა.

მისი პედაგოგიური მოღვაწეობის დასაწყისს მთელი რიგი სიძნელეები ახლდა, თუნდაც ის გარემოება, რომ ბრაილის შრიფტით სასწავლო სახელმძღვანელოები არ არსებობდა, ეს როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისთვის დიდ სიძნელეს ჰქმნიდა.

შუაღამემდე იჯდა ანეტა საწერ მაგიდასთან და მასობრივი სახელმძღვანელოებიდან ნაკარნახევ ტექსტებს ბრაილის ფანქრით იწერდა. თუ პატარა ტექსტი იყო, თვითონვე ამრავლებდა, თუ მოზრდილი — ბავშვებს კარნახით აწერინებდა. დიდ ტექსტებს კი შემოკლებით წერდა და კლასში ისე ავრცელებდა. ასე იყო 1953 წლამდე, სანამ სოღანლუღის სასწავლო-საწარმოო წამოწყებასთან შეიქმნებოდა სტამბა ბრაილის შრიფტით. მას შემდეგ მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა, მაგრამ სახელმძღვანელოების ნაკლებობა მაინც იგრძნობა, ვინაიდან მცირე ტირაჟით იბეჭდება.

ადამიანი შრომით ფასდება, რაც უფრო საპასუხისმგებლო, მძიმე და რთულია იგი, მით უფრო დასაფასებელია. ადამიანისათვის ყველაზე დიდი ჯილდო და ბედნიერება თავისივე შრომის ნაყოფით დატკბობაა. მასწავლებლისთვის კი, ისე როგორც მშობლისთვის, სხვა რაღაა იმაზე მეტად სასიხარულო, თუ არა თავისი აღზრდილების წარმატება და წინსვლა. ანეტა ამაყობს თავისი აღზრდილებით.

აი ისინიც: ამავე სკოლა-ინტერნატის ინგლისური ენის მასწავლებელი ლეილა ბირკაძე და პიონერხელმძღვანელი ნაზი ბერიაშვილი, სოღანლუღის განათლების სახლის დირექტორის მოადგილე ნიკოლოზ მირონოვი, სოღანლუღის სასწავლო-საწარმოო წამოწყებასთან არსებული სტამბის (ბრაილის შრიფტით) რედაქტორი თამარ ჩიტაური, ამავე სტამბის კორექტორი ლამარა კახაბრიშვილი, ჟურნალ „სინათლის" რედაქციის თანამშრომლები გივი ბლუაშვილი და კუკური ვეფხვაძე.

* * *

დღესაც დაირეკა სკოლის ზარი. გაკვეთილი იწყება.

მასწავლებელი კლასში შედის!

ინთება ლამპარი, მარადიული ლამპარი!

უსინათლონი ანთებულ ლამპარს ამჩნევენ, მის შუქს ხედავენ!

ბავშვებს აღარ აშინებთ საკლასო ოთახებიდან ფართო, ხმაურიან ქუჩებში გამოსვლა, მათ თან მიჰყვება ანთებული ლამპარი.

ლაურა ძეძამიძე



ყოფილი ორბელიანის, ამჟამად № 8 აბანო.

## საინტერესო თემაზე

# ძველი თბილისის აბანოებში

თბილისი ძველადვე განთქმული იყო თავისი ბუნებრივი სიმდიდრით — გოგირდის ცხელი წყაროებით. ეს წყლები მრავალი მოგზაურისა და მკვლევარის ყურადღებას იპყრობდა.

ცნობილ გეოგრაფსა და ისტორიკოსს ვახუშტი ბატონიშვილს თავის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა" მოხსენებული აქვს, რომ „ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ. არს მით აბანონი ექვსნი და დიდშენნი, ავზიანი მარადის მიმდინარე ცხელი წყალი".

ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი (1670 წელი) ხაზს უსვამს რა მინერალური წყლების სამკურნალო მნიშვნელობას, ამბობს: „აბანოების წყალი გოგირდიანია და ძლიერ ცხელი. კარგად მყოფების გარდა, აქ ბანაობენ აგრეთვე სნეულებიც სამკურნალოდ".

საინტერესოა მოგზაური ქალის — ფრედერიკა ფონ-ფრეიგანგის (1811 წ.) ცნობაც: „თბილისის აბანოები საუცხოოა, ცხელი წყალი გადმოსჩქეფს კლდიდან თვით აუზებში. წყალი შეიცავს დიდი რაოდენობის გოგირდს და ძალზე სამკურნალოა რევმატიზმის, ნიკრისის ქარის, სირსველის და ჭრილობის შედეგების მოსარჩენად".

ჟან შარდენის მონაცემების საფუძველზე, თბილისის უძველესი აბანოების შესახებ შესანიშნავ ცნობებს იძლევა ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი: როსტომ მეფის სასახლის ბაღში მდგარა აბანოს პატარა შენობა, რომელიც აუგიათ 1638 წელს. იგი თბილისის მინერალური წყლისსაცავი აუზიდან თიხის მილებით იღებდა გოგირდის წყალს, რომელიც მთავარი ბაზრით და სიონის ქუჩით ყოფილა გამოყვანილი. აბანოს იატაკი მოფენილი ყოფილა მარმარილოს ფილებით.

თბილისის აბანოთა არქიტექტურას ყურადღება მიაქცია აბატმა დელაპორტმა (1768 წ.). მისი ცნობით, ყველა აბანო აშენებულია ქვისაგან, ჭერი კამაროვანია, საიდანაც ჩამოდის სინათლე, აუზები კი თლილი ქვისაგან არის ნაგები.

აბანოზე ხალხი ლექსებსაც კი თხზავდა, სადაც შექებული იყო არა მარტო გოგირდის წყლის სასწაულებრივი სამკურნალო მოქმედება, არამედ აბანოების შენობათა არქიტექტურული ნაგებობაც.

მართლაც, ძველი თბილისის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში აბანო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, ის არა მარტო ჰიგიენურ-სამკურნალო დაწესებულებას წარმოადგენდა, არამედ შეხვედრებისა და დროსტარების ადგილიც იყო. აბანოში თბილისელები ხშირად კოლექტიურად მიდიოდნენ, მთელ დღეს იქ რჩებოდნენ და ზოგჯერ ქეიფსაც მართავდნენ.

აღსანიშნავია, რომ აბანო საპატარძლოს გასინჯვის თავისებურ „ბირჟასაც" წარმოადგენდა. იქ შიშველ გასათხოვარ ქალებს მუშტრის თვალით ათვალიერებდნენ სასიძოს მახლობელნი ან მაჭანკლები. „ბევრი ლამაზი ქალის ბედი გადაწყვეტილა აბანოში, ბევრი სანდომიანი „ქალი და რძალი" გაბედნიერებულა და ბევრი ფიზიკური ნაკლიც აღმოსჩენია გატიტვლებულ ქალს", — წერს იოსებ გრიშაშვილი („ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა").

ქალებისათვის გამოყოფილი იყო საბანაო დღეები: სამშაბათი და ოთხშაბათი. აბანოში ქალების აშკარად (მამაკაცების დასანახად) წასვლა სასირცხვილოდ იყო მიჩნეული, ამიტომ ისინი აბანოში დილით ადრე მიდიოდნენ. სახლში კი საღამოთი ბრუნდებოდნენ. აბანოში წასვლისას ქალები საგულდაგულოდ ირთვებოდნენ. აბანოში მთელი დღით წასული ქალები (რა თქმა უნდა, დაბალი წრისა) სარეცხსაც იქვე რეცხავდნენ.

აბანოში ტრადიციულ კერძებად მიღებული იყო: თუთუბომოყრილი ლულა-ქაბაბი, ფლავი, ფთი, მწვადი, ლავაში და ქართული შოთი-პურები, გემრიელ საჭმელად იყო მიჩნეული გოგირდის წყალში დამბალი ქართული ხმელი — „გამხმარი ქართო პური და შხლოის ყველი". ასეთ სუფრაზე მამაკაცები აუცილებლად ღვინოსაც შეექცეოდნენ.

თბილისის ხანდაზმულ მცხოვრებთა შორის შეკრებილი ცნობების მიხედვით, დაბალი ფენის ქალები (მეზობლები) ერთად შეიკრიბებოდნენ და, ბოხჩებაკიდებული, ფეხით მიდიოდნენ საერთო აბანოში. მათ, შეძლებისდაგვარად, თან მიჰქონდათ: პური, ყველი, ზეთში მოხრაკული წითელი ლობიო, სისირი ან ისპანახი, ჯონჯოლი, ზეთისხილი, მოხარშული კვერცხი, მწვანილი, წნილი.

ხოლო შეძლებული ფენის მანდილოსნები წვეულებებს მართავდნენ (მორიგეობით) წინასწარ დაკვეთილ ნომერში, საჭმელები კი მოსამსახურის ხელით შისდიოდათ. მასპინძლები და მათი სტუმრები დილიდანვე ეტლებით მიემგზავრებოდნენ აბანოში. ზოგიერთს იქ სახლში გამზადებული სადილი მისდიოდა, ზოგი კი აბანოების უბანში მდებარე აღმოსავლური კერძების დუქანში უკვეთავდა. შეძლებულთა „მენიუში" პურის, ყველის, წნილისა და მწვანილის გარდა, შედიოდა: მოხარშული ქათამი, ხიზილალა, ჯონჯოლი, ზეთისხილი, კიტრი, ფლავი, ლულა-ქაბაბი, მწვადები, თევზეულიდან: ღოში, ჰიპა, სათალი, ზურგიელი, ხრამული და სხვა. აბანოში ქალების „ქეიფი" ტკბილეულით (ნამცხვარი, კამფეტი) და ხილით ბოლოვდებოდა.

აბანოს ტანსაცმლის გასახდელ ოთახში დიდი სამოვარი იდგა ჩაის მოყვარულთათვის. ი. გრიშაშვილს კოლორიტულად აქვს აღწერილი ეს სურათიც: „აბანოში ქალები მთელი დღით რჩებოდნენ, იქვე საუზმობდნენ და სადილობდნენ კიდეც. მზრუნველი ქმარი თავის ცოლს აბანოში უგზავნიდა სადილს... მერე ჩაის სმა იწყებოდა. აბანოს ტანთგასახდელ დერეფანში უშველებელი სამოვარი იდგა. სამოვრის ირგვლივ ჩაის ჭიქები ლამბაქებით ჯარისკაცებივით იყვნენ გამწკრივებულნი და გვერდზე თოფების მაგიერ კოვზები ჰქონდათ შემოწყობილნი...

აი, ეს ტიტლიკანა დედაკაცები ისხდნენ ამ სამოვრის გარშემო და მთელი დღე ჩაით ლოთობდნენ...

წარმოიდგინეთ, ქალებსაც ჰყავდათ თავიანთი აშუღი, — გერაგერმიშაანთ უსინათლო მაია, რომელიც თავის სიმღერით ართობდა დასაპნილ და ინადადებულ ქალთა მარაქას. ეს იყო მათი კლუბიცა და თეატრიც!"

მთელი დღით აბანოში წასული ქალები თმასაც იღებავდნენ ინა-ბასმით: ქალი ჯერ თავს დაიბანდა, შემდეგ თავზე იდებდა წყალში გახსნილ ინის ნაზავს, რომელიც სქელი უნდა ყოფილიყო, რათა თმაზე კარგად შემოლესილიყო. მერე თმის ბოლოებს თავზე აიკრეფდა და კვლავ მოილესავდა მთელ თავს, ორი-სამი საათის შემდეგ ინას ჩამოიბანდა და ბასმას დაიდებდა. ბასმა ინის დადებამდე უნდა გამზადებულიყო, რადგან მას გაფუება სჭირდებოდა. ბასმას ხსნიდნენ მაწონში, შიგ ურევდნენ კარგად მოხარშულ და დანაყულ (ფხვნილად ქცეულ) გუნდას (გუნდა თმას მეტად აშავებს და ბზინვარეს ხდის). შემდეგ თმას ჩამოიბანდნენ. ინა და ბასმადადებულ თავზე ქალი ქაღალდს, კომბოსტოს, ვაზის, ან ჭარხლის ფოთლებს დაიფარებდა და თბილად შეიხვევდა. თმის შეღებვის დროს თავის მოსაბურავად ხილაბანდს ხმარობდნენ.

ინა-ბასმით თმის შეღებვას დიდი ოსტატობა და დახელოვნება სჭირდებოდა, რომ თმას კარგი ფერი მიეღო, არ გაწითლებულიყო ან გამწვანებულიყო. აბანოების უბანში ცხოვრობდნენ დახელოვნებული თმის მღებავები, უმთავრესად, თათრის ქალები,

ისინი თავის კლიენტებს. აბანოში ან სახლში უღებავდნენ თმას, რაშიც გასამრჯელოს იღებდნენ. თუ ქალი თმას სახლში იღებავდა, როგორც წესი, ინას დაიდებდა, ჩამოიბანდა, მერე უკვე ბასმადადებული და თავშეფუთული, აბანოში მიდიოდა და ბასმას უკვე იქ ჩამოიბანდა.

ქალები თავის დასაბანად ხმარობდნენ ე. წ. კვერცხის საპონს. ზოგიერთი ქალი თავს იბანდა უსაპნოდ — თეთრი მიწით ან წყალში აქაფებული კვერცხის გულით. თავის დაბანის შემდეგ, თმის დასარბილებლად თავზე წყალში გარეულ ძმარს გადაივლებდნენ და შემდეგ თავს წყლით ოდნავ ჩამოიბანდნენ.

აბანოს თავისი იარაღები, ე. ი. აბანოსათვის განკუთვნილი ჩასაცმელი, ტანის დასაბანი და გასამშრალებელი ნივთები, სააბანოვე ჭურჭელი და აბანოში სახმარებელი საფენები ჰქონდა. ამაზე მიგვითითებს ე. წ. მზითვის წიგნები.

მზითვის სიებში მოხსენებული აბანოს ნივთებიდან ყურადღებას იქცევს ქსოვილის ხარისხი და ქარგულობა: დარაიას ფუტა, ხალასად ნაკერი პერანგი, ნაკერი ყელსახვევი, აბრეშუმის ბოხჩები, რომლებიც განკუთვნილი იყო აბანოში წასაღები ნივთების შესაფუთად. ასეთი ძვირფასი ქსოვილის ნივთები, ცხადია, ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ ეკონომიურად შეძლებული წრის მანდილოსნებისათვის, უბრალო, იაფფასიანი ბამბის ქსოვილის ნივთები კი — ეკონომიურად ხელმოკლე, დაბალი წრის მანდილოსნებისათვის.

თითქმის ყველა „მზითვის წიგნში" აბანოს იარაღის სიაში აღნიშნულია ფეხის ქვა. შეძლებულთათვის საბანაო ფეხის ქვაც საუკეთესო მასალისაგან კეთდებოდა და ძვირფასადაც იყო მოჭედილი.

ახლა ფეხის ქვად პემზას ხმარობენ, მას ქართულად მინქაფა, მჭადაქვა ანუ თირი ეწოდება.

წინათ აბანო ღამის გასათევად, „სასტუმროდაც" ყოფილა გამოყენებული. ამის შესახებაც საინტერესო ცნობას შეიცავს ი. გრიშაშვილის წიგნი — „აბანო მსურველთათვის ყოველთვის ღია იყო; არც ბანაობის დრო იყო განსაზღვრული; ხალხს გათენებამდე შეეძლო შიგ ყოფნა. აბანო ზოგჯერ სოფლიდან ჩამოსული გლეხისათვის სასტუმროს დანიშნულებასაც ასრულებდა. საქონელს ბაკში მირეკავდა, თვითონ კი, განბანილ-განსპეტაკებული, ოსმაურად მთელ ღამეს აბანოში არხეინად ეძინა. რასაკვირველია, ზამთარში ეს იაფფასიანი თავშესაფარი უფრო სასიამოვნო ხდებოდა!"

დღე-ღამის განმავლობაში აბანოებში ხალხის შეუწყვეტელი დენა, იქ გამართული ქეიფი და დროსტარება, აგრეთვე მისი ღამისსათევად გამოყენება მეტად ხელსაყრელი იყო აბანოების მფლობელთათვის, რომელნიც ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი შემოსავალი ჰქონოდათ.

**ნინო გვათუა,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



ქალთა საერთო აბანო.
მხატვარი ჩეკალინი (1860 წ.).



ყოფილი ერეკლეს, ამჟამად
№ 7 აბანოს ძველი სახურავები.



ყოფილი წოვიანოვის,
ახლა № 5 აბანოს ძველი სახურავები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რედაქციაში მოსული წერილები

## პატივცემულო რედაქცია!

ამ თერთმეტი წლის წინათ თქვენს ჟურნალში წავიკითხე წერილი, რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და აი, დღესაც კი ზეპირად მახსოვს მისი დასაწყისი: „არის ერთი სიხარული ცხოვრებაში, რომელსაც ვერაფერი შეედრება. ყველა ქალისთვის ახლობელი — დედობის სიხარული. საბრალოა ქალი, რომელსაც ის არ განუცდია, მაგრამ კიდევ უფრო საბრალოა ის, ვინც თვითონ წაართვა თავს ბედნიერება“. წერილს ასეთი სათაური ჰქონდა — „ნუ დაკარგავთ დედობის სიხარულს!“. მას ხელს აწერდა პროფესორი აკაკი ბაქრაძე.

ალბათ, გაინტერესებთ, რატომ მოახდინა ამ წერილმა ჩემზე ასე დიდი შთაბეჭდილება. მოგახსენებთ:

1956 წელს გავთხოვდი. პირველსავე ორსულობაზე ტოქსიკოზი დამერთო. ოთხი ორსულობა ნაადრევად შემიწყდა — მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე თვეებზე, თუმცა ორსულობისას სტაციონარში ვწვებოდი და სამკურნალო რეჟიმს ზუსტად ვიცავდი.

1961 წელს მკურნალობა დავიწყე თბილისის ქალის ფიზიოლოგიისა და პათოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. აღმომაჩნდა სერიოზული დაავადება — ტოქსოპლაზმოზი. ამ მხრივ ჩავიტარე მკურნალობის კურსი და როგორც კი ფეხმძიმედ შევიქენი, მაშინვე ამ ინსტიტუტის სტაციონარში მოვთავსდი და ცხრა თვის განმავლობაში ვმკურნალობდი. 1962 წლის გაზაფხულზე გოგონა შემეძინა, ჯანსაღი და კარგი. მას ჩემი მკურნალი ექიმის — რუსუდან კაპანაძის სახელი დავარქვი. ასეთი წვალებით ვეზიარე დედობის პირველ სიხარულს.

მკურნალობა შემდეგაც არ შემიწყვეტია — ჩემს პირმშოს მარტოდმარტოს ვერ დავტოვებდი. ყოველ წელიწადს ისევ თბილისში მივდიოდი და 5-6 თვე მიხდებოდა წოლა. მეექვსე და მეშვიდე ორსულობა მაინც ნაადრევად შემიწყდა. ხელი კი არც ახლა ჩამიქნევია. ისევ თვეების მანძილზე მკურნალობა, ცხრა თვე გამუდმებული წოლა და 1965 წელს ტყუპი ქალ-ვაჟი შემეძინა. მშობიარობა ძალიან მძიმე მქონდა, ბავშვები საკეისრო გაკვეთით ამოიყვანეს. ტყუპებს ექიმების — ზინა ერისთავისა და გურამ გოცაძის სახელები დავარქვი, ოთხი წლისა გახდებიან მალე.

ჩემს ამბავს ვისაც მოვუყვები, გულზე შემოეყრება ხოლმე — რამდენი ტანჯვა-წამება გამოგივლიაო. მე კი ეს წვალება არაფრად მიმაჩნია — ყველაფერი დამავიწყეს ჩემმა პატარებმა. თურმე, ყოველგვარ სატანჯველს აიტანს ქალი, ოღონდ დედობის სიხარული გამოსცადოს, და მე მინდა ვურჩიო ყველა უშვილო ქალს, ჩემს მაგალითს მიბაძოს, იმკურნალოს, ნუ დაკარგავს უქმად ახალგაზრდობის წლებს, როცა საქმეს კიდევ შეიძლება ეშველოს. დედობა უდიდესი ბედნიერებაა და ყველა ქალი ბედნიერი უნდა იყოს.

**ლენა გვასალია,**

ცხაკაიას რაიონის სოფელ ზანის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი.

## მკითხველები მოითხოვენ

**დადგა შემოდგომა, ზამთრისათვის ხილისა და ბოსტნეულის დაკონსერვების საუკეთესო დრო, მაგრამ დიასახლისებს არა გვაქვს ამის საშუალება, არსად არ იშოვება ქილების დასახუფავი თუნუქის სახურავები.**

**გთხოვთ გაგვარკვიოთ, ვის ეხება ეს საქმე, ვის მოვთხოვოთ დახმარება — მრეწველობისა თუ ვაჭრობისა და მომარაგების დარგის მუშაკებს?**

**დიასახლისები**

* * *

**ამას წინათ თქვენი ჟურნალის ფურცლებზე წავიკითხეთ რჩევა — ქალმა ასაკის მიხედვით უნდა შეარჩიოს მოდაც და კაბის ფერიცო. შესანიშნავი რჩევაა. სამწუხაროდ. ასე არ მსჯელობენ მსუბუქი მრეწველობის მუშაკები, მართალია, მაღაზიები გატენილია შეკერილი კაბებით, მაგრამ ვერსად ვერ იპოვით ხნიერი ქალის შესაფერისი თალხი ფერის სამოსს.**

**ძვირფასო რედაქციავ, იქნებ თქვენ დაგვეხმაროთ ამ საქმეში — გვიშუამდგომლოთ სამკერვალო ფაბრიკების წინაშე, რათა გაითვალისწინონ ჩვენი მოთხოვნილება.**

**პენსიონერი ქალები**

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## პედაგოგის შენიშვნები

### ზოგიერთი რამ მშობლებისა და მოზარდების ურთიერთ-დამოკიდებულებაზე

**„რაც უფრო მეტად გიყვარს ბავშვი მით უფრო მეტი მოითხოვე მისგან“.**

**ა. მაკარენკო.**

აღზრდის ხასიათი ყოველ ასაკში, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება მშობლებისა და მოზარდების ურთიერთდამოკიდებულებით.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრულ ასაკში (12-15 წელი და კიდევ ჭაბუკობისას) აუცილებლად უნდა შევცვალოთ ბავშვთან დამოკიდებულება.

საერთოდ, ბავშვთან დამოკიდებულება აღმზრდელისაგან ყოველთვის დიდ ტაქტს მოითხოვს. რა გინდ პატარა უნდა იყოს ბავშვი, როცა მას რაიმეს ვუკრძალავთ — წვიმიან ამინდში გარეთ გასვლას, ხმაურიან თამაშს თუ უფროსების კუთვნილი ნივთების ხელის ხლებას — ჩვენი მოთხოვნილება ისე უნდა დავასაბუთოთ, რომ ბავშვისთვის გასაგები იყოს. მაგალითად, „გარეთ თამაში ახლა არ შეიძლება, დასველდები და გაცივდები“, ან იმიტომ, რომ „მალე უნდა ვისადილოთ“, ან — „ახლა ხმაური არ შეიძლება — მამა მუშაობს“ და სხვა.

ასეთი უბრალო განმარტება დამაჯერებელია ბავშვისთვის, ამიტომ ის უფროსის მოთხოვნას უყოყმანოდ ემორჩილება.

ცხადია, კიდევ უფრო საჭიროა მოთხოვნის დასაბუთება, როცა საქმე მოზარდთან გვაქვს. ამ ასაკში ბავშვები უფრო ხშირად იმიტომ არ უგონებენ უფროსებს, რომ არ ესმით, რატომ უნდა მოიქცნენ სწორედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე და არა სხვაგვარად. მათ უკვე მოთხოვნილებად ექცევათ, გაიაზრონ ყოველი ნაბიჯი.

დედა ეუბნება ვაჟიშვილს:

— დღეს ამხანაგთან არ წახვალ.

— რატომ? — კითხულობს ბიჭი, — მე ყველა გაკვეთილი მოვამზადე.

— სულ ერთია, არ წახვალ. კეთილი ინებე და შინ დაჯექი!

— შინ რა გავაკეთო?

— თუ მოინდომებ, იშოვნი გასაკეთებელს...

მოზარდი იძულებულია მშობლის ნებასურვილს დაემორჩილოს, მაგრამ გულმოსულია, განგებ არაფერს აკეთებს, დის გამოჯავრებას იწყებს და უფროსების შენიშვნაზე კადნიერად პასუხობს. კონფლიქტი თანდათან მწვავდება და მეორე-მესამე დღეს ის უკვე უკითხავად მიდის სახლიდან. აი, ასე იწყება უდისციპლინობა.

სხვაგვარად მოიქცეოდა მშობელი, რომელიც ანგარიშს უწევს ბავშვის ასაკობრივ თავისებურებას.

თუ დედას სურს, რომ შვილი აუცილებლად დარჩეს შინ, ის დაეხმარება საინტერესო გასართობის გამონახვაში, ან გვერდში ამოიყენებს და რაიმე საოჯახო საქმეში მოიშველიებს, თან წაახალისებს და ამით მიახვედრებს: „ხომ კარგია, რომ არსად წახვედი. მე და შენ სასარგებლო სამუშაოც შევასრულეთ და მამასაც გაუხარდება, ყველანი რომ სახლში დავხვდებით".

უფროს-უმცროსის დამოკიდებულების საფუძველი მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთპატივისცემა უნდა იყოს.

...ბიჭი ოცნებობს კონსტრუქტორი გახდეს: აშენებს თვითმფრინავებს, გემებს; ხერხავს, ჭრის, ადუღაბებს. რა თქმა უნდა, ბავშვის ეს გატაცება მისასალმებელია, მაგრამ ზოგჯერ ხელს რომ უშლის მეცადინეობაში? გურამი მაშინ აშენებს, როცა საშინაო დავალებას უნდა ასრულებდეს და ისეა გატაცებული, რომ გაკვეთილების მოსამზადებელი დრო აღარ რჩება.

დედას არ ესმის შვილის გატაცება, ის მხოლოდ იმას ხედავს, რომ შვილს სწავლაში ხელი ეშლება და ბინაში არევ-დარევაა. ჰოდა, გაგულისებული ამტვრევს და ანადგურებს შვილის ნაშრომ-ნაწვალევს. მაგრამ ამით რას მიაღწევს? მხოლოდ იმას, რომ ასეთი უპატივცემლობა ბავშვს აამხედრებს უფროსის წინააღმდეგ. ეცდება ამის შემდეგ იგი, რომ მეტი იმეცადინოს? სულაც არა.

ბავშვის სურვილებს, მის თავმოყვარეობას მშობლებმა ანგარიში უნდა გაუწიონ. მის გატაცებით საქმიანობას ხელი არ უნდა შეუშალონ, პირიქით, წააქეზონ და ისე წარმართონ, რომ ეს გატაცება სწავლაში დაეხმაროს კიდეც.

ბავშვთან დამოკიდებულებაში მშობლებს განსაკუთრებული პედაგოგიური ტაქტი სჭირდებათ იმისათვის, რომ ყველა სიტუაციაში გამონახონ სწორი გადაწყვეტილება. მაგალითად, თორმეტიოდე წლის მოზარდი საინტერესო წიგნმა გაიტაცა.

— დათო, მოდი, დაიძინე, — ეუბნება დედა.

— დედა, ძალიან საინტერესო ადგილზე ვარ, ცოტა კიდევ მაცალე, რა, — სთხოვს შვილი.

როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში? უარვყოთ ბიჭუნას თხოვნა, თუ დავაკმაყოფილოთ?

— კარგი, — ეუბნება დედა, — დღეს ნებას გაძლევ, მაგრამ იცოდე, ხვალ დანიშნულ დროს დაიძინებ!

თუ ბავშვის თხოვნა გონივრულია, მისი დაკმაყოფილება ისევე საჭიროა, რამდენადაც არაგონივრულის აკრძალვა.

ზოგ შემთხვევაში უნდა შევძლოთ საკუთარი მოთხოვნის დათმობა, არ უნდა შეგვეშინდეს, რომ ბავშვი ამას უპრინციპობაში ჩამოგვართმევს; ზოგან კი ჩვენი მოთხოვნის აუცილებელი შესრულება უნდა მოვთხოვოთ. აი, ესაა ის პედაგოგიური ხელოვნება, რომელსაც ყველა მშობელი უნდა დაეუფლოს.

**გ. კოზეშავიძე,**

მახარაძის რაიონის სოფელ ასკანის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

# სხვადასხვა რჩევა-დარიგება

თუ ტანსაცმელი აგიპრიალდათ, გაწმინდეთ აპრიალებული ადგილები მშრალი მარილით ან ნიშადურის სპირტისა და წყლის ნარევით (15-25 გრ სპირტი 2 სუფრის კოვზ წყალზე). შემდეგ ფრთხილად გამორეცხეთ თბილი წყლით, სუფთა ტილო დააფარეთ და ცხელი უთოთი გააშრეთ.

*

დაზეთილი სპეცტანსაცმელი გარეცხეთ ასე: დაჭერით წვრილად საოჯახო საპნის მეოთხედი, დაასხით 1 ლიტრი ადუღებული წყალი, შემდეგ შეგრილებულ ხსნარს დაუმატეთ ნახევარი ლიტრი ნავთი და ერთი სუფრის კოვზი სარეცხის სოდა. მომზადებული ნარევით კარგად გაწმინდეთ სპეცტანსაცმელი, დაკეცეთ და ისე დატოვეთ მთელი ღამით. შემდეგ ორჯერ გარეცხეთ ცხელ საპონწყალში და რამდენიმეჯერ გაავლეთ თბილ წყალში.

*

კარტოფილის გაფცქვნის დროს თითები რომ არ გაგიშავდეთ, დაფცქვნის წინ ხელები დაიზილეთ ძმრით ან მუშაობის დროს დროდადრო გადაივლეთ ხელებზე ძმარწყალი. ხილისგან გაშავებული ხელის თითები კი ლიმონის კანით შეგიძლიათ გაიწმინდოთ.

*

თუ ტანსაცმელზე ცხიმი დაგეწვეთათ, მაშინვე მოაყარეთ იმ ადგილზე მარილი და ფრთხილად გახეხეთ. მარილი რამდენჯერმე გამოუცვალეთ, სანამ ლაქა არ გაქრება.

*

მუშამბის დასვრილი სუფრა ჯერ თბილი წყლითა და საპნით გარეცხეთ, შემდეგ გადაავლეთ ცივი წყალი და კარგად გაამშრალეთ რბილი ჩვრით. არ იხმაროთ მის გასარეცხად სოდა ან ნიშადურის სპირტი, მუშამბაზე ნახატი წაიშლება და სუფრა დაუშნოვდება.

*

ლინოლეუმი რომ გავაახლოთ, უნდა გავრეცხოთ რძისა და წყლის ნარევით (თანაბარი რაოდენობით), საერთოდ კი მისი გარეცხვა უმჯობესია უბრალო საპნიანი წყლით, რადგან სხვა უფრო ძლიერი საშუალებები ლინოლეუმს აზიანებს.

*

ჭურჭლეულს თევზის, კომბოსტოს მწნილისა და ნივრის შემდეგ უნდა მოავლოთ ცხელი წყალი, რომელშიც ჩამატებული იქნება 2-3 ჩაის კოვზი ძმარი. თევზიან დანა-ჩანგლებს უსიამოვნო სუნს გაუქრობს ლიმონის ქერქი. ქაშაყის გაჭრის შემდეგ კი ხელები გაიწმინდეთ მარილით.

*

ცომის გამოცხობის დროს ტაფაზე დასხმული ზეთი რომ არ გაშავდეს, დააწყეთ ზედ უმი კარტოფილის ორიოდე ნაჭერი.

*

როგორ უნდა გარეცხოთ ნაზი გიპიურის საყელოები, სამაჯეები და ჟაბოები რომ არ დაიხეს? ლიტრიან ქილაში ჩაასხით საპნიანი წყალი ან სარეცხის ფხვნილის ხსნარი, შიგ ჩააწყეთ გიპიურის მაქმანები და დაახურეთ ქილას სახურავი. ქილა რამდენიმე წუთს ენერგიულად ანჯღრიეთ, შემდეგ კი წყალში იქამდე გაავლეთ, სანამ წყალი კამკამა არ იქნება. გაფინეთ გაუწურავად.

## რამდენს იწონის?

**ჩაის თხელი ჭიქა**

ბრინჯი — 220 გრ
ხორბლის ფქვილი — 130 „
მანანის ბურღული — 185 „
შაქრის ფხვნილი — 200 „
კარაქი — 210 „
ერბო — 220 „

**სუფრის კოვზი**

ბრინჯი — 30 გრ
მანანის ბურღული — 25 „
შაქრის ფხვნილი — 30 „
კარაქი — 40 „
ერბო — 50 „

**ჩაის კოვზი**

ხორბლის ფქვილი — 5 გრ
დანაყილი წითელი პილპილი — 1 „
შავი პილპილი — 5 „
მარილი — 8 „

# სახელგანთქმული მოდელიორები









ისინი ოცდარვანი არიან. მათი სახელები იმათაც იციან, ვინც საფრანგეთში არასოდეს არ ყოფილა. მათ შორის ყველაზე ცნობილი არიან დიორი, შანელი, სენ ლორენი, გარდენი, ლანვენი, პატუ და სხვანი.

ყოველთვის, როცა ეს სახელგანთქმული მოდელიორები თავიანთი ნამუშევრების გამოფენას აწყობენ, ე. ი. სამსჯავროზე გამოაქვთ კაბები, პალტოები, კოსტუმები, მთელი მსოფლიოს ჟურნალები აჭრელდება ხოლმე მათი მოდელების ფერადი ფოტოებით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა ქალს როდი შეუძლია ამ ოსტატების შესანიშნავი ნახელავის ყიდვა. მიზეზი უბრალოა: ყველაზე „იაფფასიანი" კაბა, სულ ცოტა, 3.000 ფრანკი ღირს.

ყველა ამ ცნობილ მოდელიორზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს. მათ შორის ყველაზე საინტერესო მაინც კოკო შანელია. დღეს ის 84 წლისაა. დიდი ხანია, რაც მან საყოველთაო აღიარება მოიპოვა. ეს დაახლოებით 1900 წელს მოხდა. გაბრიელამ, იგივე კოკო შანელმა ჯიბეებიანი კაბა შეიკერა, რადგან ძალიან უყვარდა ჯიბეებში ხელების ჩაწყობა. ერთ ნადიმზე კი შავ კაბაში გამოწყობილი გამოცხადდა. იმ დროს შავი ფერის ტანსაცმელს მხოლოდ მგლოვიარენი იცვამდნენ. რამდენიმე დღეში პარიზში თითქმის ყველა ქალს ჰქონდა სადად შეკერილი შავი კაბა.

ერთხელ მის საბაზანოში ცხელი წყლის ავზი აფეთქდა. გაბრიელას თმა დაეწვა. იძულებული გახდა, თმა მოკლედ შეეჭრა. ამ ახალმა ვარცხნილობამ ყველა გააოცა, ბევრი აღაშფოთა კიდეც. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ პარიზს ეს ახალი მოდა ელვასავით მოედო. შანელმა პირველმა გაბედა და ზღვისპირიდან მზით გარუჯული დაბრუნდა. ეს მაშინ, როცა მოდაში ძალიან თეთრი კანი იყო...

გავიდა წლები. ახლა კოკო შანელი გრეტა გარბოს აღარა ჰგავს როგორც მაშინ, ოცი წლისა რომ იყო, მაგრამ ეს მოხუცი მანდილოსანი კვლავ ბატონობს პარიზში: მისი ყოველი ჭირვეულობა მოდად იქცევა ხოლმე და ეს გასაგებიცაა, რადგან შანელი ჩვენი დროის ჭეშმარიტად უდიდესი მოდელიორია.

**ფრანგულ ჟურნალ „მოზაიკიდან"**

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე მხატვარ დარეჯან ძნელაძის ნამუშევრები

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: **ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია** (მხატ. რედაქტორი), **თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.**

ტექრედაქტორი **ქ. დემუროვა.**

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონები — 99-98-71. 99-50-39. გადაეცა ასაწყობად 19/VI-69 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/IX-69 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_8$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 100.000. შეკვ. № 2190. უე 02328. **ფასი 80 კაპ.**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.



КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სამარყანდი რეგისტანის მოედანი და ანსამბლი



ИНДЕКС 76178